გაზეთი ბოლოვრია, „ოლოგია" ოლთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№56 (1082) 22 – 24 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„სასწრაფო" ისევ იგვიანებს?

გვ. 7

რას პასუხობს უკმაყოფილო მოქალაქეებს სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დირექტორი

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

გვ. 3–4

რა შედეგით დასრულდა „იბიარდის" ფორუმი

რა ინვესტიციები შემოვა საქართველოში

რატომ ვერ გათვალა მთავრობამ ლარის გაუფასურება

აუცილებელია თუ არა სავალუტო ჯიხურების რეგულირება

ალიარებს თუ არა სავალუტო კრიზისს

რა კითხვები უჩნდება ფინანსთა მინისტრს

საშუალოვადიან პერიოდში ლარი დასტაბილურდება, ამ მხრივ ბოლო სამი დღის ვაჭრობის შედეგები იმედისმომცემია, მაგრამ ამ მონაპოვარს უნდა გავუფრთხილდეთ!

მსოფლიოს 5 უმსხვილესი ბანკი სავალუტო ბაზარზე მანიპულირებისთვის დააჯარიმეს

გვ. 4

რა კავშირშია საერთაშორისო გარიგებებთან საქართველოში ეროვნული ვალუტის ცვალებადობა

ვინ როგორ აპირებს 26 მაისის აღნიშვნას და რატომ მართავს აქციას ოპოზიცია ოპოზიციის წინააღმდეგ

ბურჯანაძის პოლიტიკური დეჟა ვუ, სასიკვდილო შიმშილობა, გადადებული „სირცხვილის მარში" და გუნდაობა რუსთაველზე

გვ. 5

„ეს ფილმი აუცილებლად უნდა გადავიღოთ"

გვ. 9

კინორეჟისორ მაია არჩვაძის იდეა და ქაოსი კინოცენტრში

ცნობილი ბიზნესმენის შვილის შეკერილი საქმე

ჯუფბრის დღიური

როგორ „შეტენა" მამამ ორი გოგოს გაუპატიურება და მკვლელობა

მალხაზ სალაყაია არ ადასტურებს, რომ ფოტოზე აღბეჭდილი პიროვნება ხარძიანის მკვლელია

მოკლული ბიზნესმენის, ბესიკ ხარძიანის ადვოკატმა, მალხაზ სალაყაიამ რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მისი განმარტებით, შეუძლებელია მტკიცება, რომ ფოტოზე აღბეჭდილი პიროვნება ნამდვილად არის ან არ არის ხარძიანის მკვლელი. სალაყაიას განცხადებით, პასუხი აღნიშნულ კითხვაზე ვერც პროკურატურაში მიიღო: **„ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ ვკითხე პროკურატურას, იყო თუ არა რეალობა, რასაც ამბობდნენ. პასუხად მივიღე: „ჩვენ ამაზე ვმუშაობთ და ამას ვიტყვით“. მათ ეს ინფორმაცია არც დაადასტურეს და არც უარყვეს, რადგანაც ასეთი სხვა პირების ფოტოები შეიძლება კიდევ ჰქონდეთ. პროკურატურას გააჩნია ზღვა მასალა, რომ დასკვნა საორჭოფოდ არ გაკეთდეს. ეს გავრცელებული ფოტო შესაძლოა ერთ-ერთი სამუშაო ვერსია იყოს გამოძიებისთვის, ხომ არ არის ის დანაშაულის ჩამდენი პირი, ან ხომ არ ჰგავს იმ პირს, რომელიც ეჭვმიტანილის სახით საქმეში შეიძლება ჰყავდეს გამოძიებას“.**

ადვოკატმა ხარძიანის მკვლელის წარმომავლობაზეც გააკეთა კომენტარი. მისი განმარტებით, აქცენტირება, რომ ხარძიანის პოტენციური მკვლელი უდავოდ ჩეჩნური წარმომავლობისაა, არასწორია: **„იმის მტკიცება, რომ ის ჩეჩნური წარმომავლობის არის, ხმამაღალი ნათქვამია. ეს არავინ იცის. ადამიანები ვგავართ ზოგადად ერთმანეთს. ჩვენ ბევრი სლავური წარმოშობის ქართველიც გვყავს, რომლებიც ვიზუალურად ჰგვანან ერთმანეთს. მტკიცება, რომ ეს ადამიანი ჩეჩნური წარმომავლობისაა, არ შემიძლია. ეს ამ ინფორმაციის გამავრცელებელს უნდა ჰკითხოთ“.**

ნინი ჯაფარიძე

ვაზიანის სამხედრო სასროლეთზე ქართველმა და ამერიკელმა სამხედროებმა ამოცანები შეასრულეს

ვაზიანის სამხედრო სასროლეთზე ქართველმა და ამერიკელმა სამხედროებმა ტაქტიკური ამოცანები საბრძოლო სროლებით შეასრულეს.

ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ ფარგლებში ჩატარებული სწავლება ტაქტიკურ და საცეცხლე ელემენტებს მოიცავდა.

სამხედრო მოსამსახურეებმა სხვადასხვა ტიპის მცირე და საშუალო კალიბრიანი იარაღიდან, სნაიპერული შაშხანებიდან და 60 მმ-იანი ნაღმმტყორცნებიდან სხვადასხვა მანძილზე მდებარე სამიზნეებს ესროლეს. საბრძოლო სროლები ამერიკული ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან „ბრედლი“ და ქართულ შეიარაღებაში არსებული ქსმ2-ბიდან განხორციელდა.

ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ დასკვნით ეტაპზეა. სწავლებაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეები თეორიული მომზადების შემდეგ, პრაქტიკულ, საცეცხლე და ტაქტიკურ ამოცანებს ასრულებენ.

„ღირსეული პარტნიორი“ საქართველოში პირველად ტარდება და ქართული ასეულის ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობისთვის მზადყოფნის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ერთობლივი სწავლება ხელს შეუწყობს აშშ-სა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ურთიერთთავსებადობის გაზრდას NRF-ში მონაწილეობის მისაღებად და ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას.

სწავლებაში მონაწილეობს დაახლოებით 600 ქართველი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. ქართულ-ამერიკულ ერთობლივ წვრთნაში აშშ-ს არმიის პარაშუტისტთა და მექანიზირებული დანაყოფები მონაწილეობენ.

საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეული, IV მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის I მექანიზირებული ასეული და სამხედრო პოლიციის ოცეულია წარმოდგენილი.

„პირველი“

ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია

EPP-ის წევრი ევროპარლამენტარები ევროკავშირს მოუწოდებენ, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცების კურსი აქტიურად გააგრძელოს და კონკრეტული პოლიტიკური ვალდებულებები აიღოს.

ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებაში სიტყვა და საქმე ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

„სამიტმა ევროპული მომავლის თაობაზე ძლიერი პოლიტიკური სიგნალი უნდა გაუგზავნოს ქვეყნებს, რომლებსაც დიდი ხანია, ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა სურთ. ამგვარი პერსპექტივა პარტნიორი ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის მთავარი მამოძრავებელი შეიძლება გახდეს. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა რეფორმების გასატარებლად გრძელვადიანი მოტივაციაა, ვიზალიბერალიზაციისა და უვიზო რეჟიმის მიღწევა კი მოკლე დროშია შესაძლებელი. სამიტზე ევროკავშირმა სწორედ ეს პოლიტიკური ვალდებულება უნდა აიღოს საკუთარ თავზე“, — განაცხადა ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ, სამეზობლო პოლიტიკისა და ევრონესთის საკითხებში სანდრა კალნიეტემ.

ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ლიდერებმა მეტი ამბიცია უნდა გამოამჟღავნონ და საქართველოსა და უკრაინას სავიზო რეჟიმის გამარტივების კონკრეტული თარიღი შესთავაზონ. მათი თქმით, უვიზო რეჟიმი ხელშესახებ სარგებელს მოუტანს ხალხს, რითაც ევროკავშირი აჩვენებს, რომ რეგიონის მიმართ გრძელვადიანი ვალდებულებები გააჩნია.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით კი, ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და ახლა ტექნიკური პროცედურების დასრულებაა საჭირო. ეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაუდასტურეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა „ევროპის სოციალისტური პარტიის“ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ფედერიკა მოგერინი, შვედეთისა და დანიის პრემიერ-მინისტრები დაესწრნენ.

ფორუმზე მთავრობის მეთაურმა საქართველოს მიღწევებსა და პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მიერ განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა: **„ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველომ ბოლო ორ წელიწადში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მათ შორის ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით. ჩვენ უმნიშვნელოვანესი ნახტომი გავაკეთეთ, სულ რაღაც 6 თვეში. სამწუხაროდ, ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო 2010 წელს, მაშინ, როდესაც მოლდოვამ დაიწყო. საინტერესოა, რატომ არ გააკეთა ეს წინა ხელისუფლებამ. ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, ახლა საჭიროა ტექნიკური პროცედურების დასრულება. იმედი გვაქვს, წლის ბოლომდე ამ პროცედურებს დავასრულებთ და საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, უვიზოდ იმოგზაურონ ევროპაში“.**

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე საქართველოს პროგრესის დაფიქსირებას ელის „ევროპის სოციალისტური პარტიის“ ვიცე-პრეზიდენტი სერგეი სტანიშევი: **„ვფიქრობ, საქართველოსთვის იქნება ძალიან კარგი ახალი ამბავი. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ჩვენ ვიცით, რომ ვიზის საკითხები საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დარწმუნებულნი ვართ, სამიტზე პროგრესი იქნება“.**

რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი 21-22 მაისს იმართება. რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე საქართველოს სამთავრობო დელეგაციას ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს. დელეგაციის შემადგენლობაში კი შედიან სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე და საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი.

ირაკლი ღარიბაშვილს 22 მაისს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები აქვს დაგეგმილი. რიგაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერი გერმანიის კანცლერს, ანგელა მერკელს შეხვდება. შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს ევროპული პერსპექტივა, სამეზობლო პოლიტიკის საკითხები და საქართველო-გერმანიის ორმხრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები იქნება. მხარეები ასევე განიხილავენ გერმანიის კანცლერის ვიზიტს საქართველოში.

ასევე გაიმართება ირაკლი ღარიბაშვილისა და საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის შეხვედრა, რომლის დროსაც მთავარი საკითხები იქნება საქართველო-საფრანგეთის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივა, ევროკავშირთან ურთიერთობა და საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები.

ასევე დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან, შვედეთის პრემიერ-მინისტრ სტეფან ლოფენთან, ბელგიის პრემიერ-მინისტრ შარლ მიშელთან, ხორვატიის პრემიერ-მინისტრ ზორან მილანოვიჩთან, სლოვენიის პრემიერ-მინისტრ მირო ცერართან, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ ბოიკო ბორისოვთან და საბერძნეთის პრემიერ-მინისრტ ალექსის ციპრასთან.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა 130-ე სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განაგრძობს კამპანიას სახელწოდებით „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა სკოლებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა 130 საჯარო სკოლის უფროსკლასელებს უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი მერაბ მალანია, ამავე ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი რუსუდან კასრაძე და სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სხვა წარმომადგენლები.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა მოსწავლეებს ამავე სამმართველოს ბაზაზე რიგითი ჯარისკაცის ყოველდღიური ცხოვრების წესი გააცნეს. დაათვალიერებინეს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი, სავარჯიშო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სასწავლო და საწვრთნელი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ ჯარისკაცთა საწვრთნელ ვარჯიშებს, სამწყობრო გადაადგილებასა და სპორტულ ღონისძიებას. სტუმრებისთვის სპეციალურად მოეწყო სამხედრო აღჭურვილობის, ჯავშანტექნიკისა და სხვადასხვა სახეობის იარაღის გამოფენა. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოსწავლეების შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს.

კამპანიის ფარგლებში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლას უმასპინძლა. აღნიშნული პროექტის განხორციელება რეგიონებშიც იგეგმება. სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი განაგრძობს მონაწილეობას კამპანიაში, რომელიც ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას და დანაშაულის პრევენციას ემსახურება.

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

13-15 მაისს, თბილისმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის „იბიარდის“ ყოველწლიურ ბიზნესფორუმს უმასპინძლა. ღონისძიების თბილისში ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იყო, სადაც ამ ფორუმისთვის ორი წელი ემზადებოდნენ. წელს თბილისი რამდენიმე საინტერესო და მრავალმხრივ ღონისძიებას უმასპინძლებს. ორიოდე თვეში, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართება, რომლის ფარგლებშიც, საქართველოში შავი ზღვის ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელები ჩამოვლენ. ნოემბერში, თბილისში „ოესიდის“ წევრი ქვეყნების საკმაოდ მაღალი დონის კონფერენცია ჩატარდება, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნება. პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და ეკონომიკის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით, ოქტომბერში აბრეშუმის გზის ფორუმი გაიმართება. ცხადია, ასეთი მაღალი დონის შეხვედრებს ქვეყნის ცნობადობის ზრდა, ინვესტიციებისა და ტურისტების სიმრავლე უნდა მოჰყვეს, რაც საბოლოოდ, ლარის კურსს დაასტაბილურებს. ამ და სხვა აქტუალურ თემებზე, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საუბრობს.

— ბატონო ნოდარ, როგორ შეაფასებთ „იბიარდის“ ყოველწლიურ ბიზნესფორუმს?

— რთულია, შევაფასო, რადგან ფინანსთა სამინისტრო ამ ღონისძიების ორგანიზატორი იყო. „იბიარდის“ ბიზნესფორუმი ჩვენი, როგორც ორგანიზატორების, ერთგვარი გამოცდაც გახლდათ — შევძლებდით თუ არა ამ ტიპის ღონისძიების მასპინძლობას. ჩვენი უცხოელი კოლეგების შეფასებით, ეს ღონისძიება ხინჯის გარეშე, უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. საინტერესო შეხვედრები გაიმართა და ვფიქრობ, სასარგებლო იყო საქართველოსთვის, როგორც ქვეყნის ცნობადობის ზრდის, ასევე საინვესტიციო გარემოს შეფასების თვალსაზრისითაც.

— ამ ბიზნესფორუმს ინვესტიციების სიმრავლე უნდა მოჰყვეს, რა კონკრეტულ შედეგებს მიაღწიეთ?

— დავიწყოთ იმით, რაც უშუალოდ, ბიზნესს შეუწყობს ხელს, სამ ქვეყანასთან — კვიპროსთან, ლიხტენშტეინსა და ირლანდიასთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება გავაფორმეთ; შევხვდი უკრაინის ფინანსთა მინისტრს, ნატალია იარესკოს და შევთანხმდით, რომ მჭიდროდ ვითანამშრომლებთ. საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობასა და ადმინისტრირების თვალსაზრისით, ჩვენს გამოცდილებას უკრაინელ კოლეგებს გავუზიარებთ. სხვათა შორის, ქალბატონი იარესკო აეროპორტში ჩამოსვლიდან რამდენიმე წუთში, თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში — გეზ-ში წავიდა, დაათვალიერა და აღფრთოვანდა მუშაობის იმ სტანდარტით, რომელიც საქართველოს საბაჟო და საგადასახადო სამსახურებშია. მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ბალტიისპირელ კოლეგებთან, ამ ღონისძიებაზე სამივე ქვეყნის — ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ფინანსთა მინისტრები ჩამოვიდნენ. მათი დახმარება მართლაც გვჭირდება, რადგან ბალტიისპირეთმა უკვე გაიარა ევროინტეგრაციის გზა, რომელზეც საქართველო ახლა დგას. სამივე ქვეყანა ევროკავშირისა და ნატო-ს წევრია და ამ მხრივ, სერიოზული პროგრესი აქვთ. შევხვდი ყაზახ კოლეგას და „ყაზტრანსგაზთბილისის“ ვალის რესტრუქტურიზაციაზე ვისაუბრეთ. ყაზახები დაინტერესებულები არიან, საქართველოში საკმაოდ სოლიდური ინვესტიციები განახორციელონ. დღეს მათი კაპიტალის მონაწილეობით, რამდენიმე სერიოზული კომპანია მუშაობს, მათ შორისაა, ბათუმის პორტი და სასტუმრო „რიქსოსი“ ბორჯომში. თუმცა საინტერესო შეთავაზების პირობებში, ისინი საინვესტიციო პროცესის გაგრძელებას აპირებენ. მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა იტალიის ფინანსთა მინისტრთან, შევხვდი სომხეთის ეკონომიკის მინისტრს, რომელმაც ახალი ხიდის მშენებლობაზე ისაუბრა, საინტერესო შეხვედრა გვქონდა ეგვიპტის საერთაშორისო ურთიერთობების მინისტრთან, რომელსაც ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილიც დაესწრო.

საინტერესო შეხვედრები გვქონდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, „იბიარდის“ პრეზიდენტთან და შევთანხმდით, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში ლიდერი ინვესტორის პოზიციებს შეინარჩუნებს. ერთ-ერთი საინტერესო, ბოლო პროექტი, რომელიც განვითარდა და საკმაოდ კარგი შედეგი მოჰყვა, შუახევჰესის მშენებლობაა, რომელიც 400 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. ამ პროექტს ინდური „ტატა პაუერი“ და ნორვეგიული „ქლინ ენერჯი“ ახორციელებენ. შევხვდი ევროპის საბჭოს ბანკის ხელმძღვანელებს, რომლებიც საკმაოდ საინტერესო პროექტების განხორციელებას გეგმავენ, მათ შორის, სკოლების რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. საინტერესო იყო შეხვედრა იაპონიის ფინანსთა სახელმწიფო მინისტრთან. იაპონური ორგანიზაცია „ჯაიკა“ აქტიურად მუშაობს საქართველოში, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის დასავლეთ საქართველოს მონაკვეთზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებს. სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებსაც შევხვდით და ზუსტად იმ დღეებში, „სტანდარტ ენდ ფუარსმა“ ჩვენი რეიტინგი გამოაქვეყნა. არსებული პრობლემების მიუხედავად, ამ კომპანიამ რეიტინგი შეგვინარჩუნა. მნიშვნელოვანია, რომ „იბიარდის“ ბიზნესფორუმი მყისიერი, ორდღიანი ღონისძიება არ ყოფილა, მის შედეგებს კიდევ არაერთი წლის მანძილზე მივიღებთ, რადგან უამრავი ლამაზი და საინტერესო თანამშრომლობის პერსპექტივას ჩაეყარა საფუძველი. იმედია, ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზეც აისახება.

— ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე თქვენი ციტატაა გამოტანილი: „ჩვენი მიზანი ქვეყანაში ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის მიღწევაა...

— რომელიც თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე აისახება... მერე, რა არ მოგწონთ ამ ციტატაში?

— მომწონს, მაგრამ დღეს რა კეთდება ამისთვის, ან რატომ ვართ ასე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში?

— საქართველო მცირე ეკონომიკის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო ბაზრებში, განსაკუთრებით, მისი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკებთანაა ინტეგრირებული და ამას ვერსად გავექცევით. ჩვენი ექსპორტის 1/3 ევროკავშირზე, ხოლო 2/3 — დანარჩენ ქვეყნებზე მოდის, მათ შორის, დსთ-ს სივრცესა და თურქეთზე. საზოგადოებამ კარგად იცის, მაგრამ რატომღაც ყურადღებას არ ვამახვილებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, მოსახლეობის მოთხოვნის საკმაოდ სერიოზულ ნაწილს ეგრეთ წოდებული რემიტენსები ანუ ჩვენი ნათესავების მიერ, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამორიცხული თანხები აბალანსებს. ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც კი, გადმორიცხული თანხების ნახევარი, ერთ ქვეყანაზე, რუსეთზე მოდის. თუ ექსპორტის გეოგრაფიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტი იზრდება, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო, სხვა ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა მცირდება, შესაბამისად, ამ ქვეყნებიდან სავალუტო შემოდინებაც მცირდება.

დასასრული მე-4 გვერდზე

შსს-მ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1971 წელს დაბადებული ვახტანგ ზ. წნორში, აღმაშენებლის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ვახტანგ ზ-ს საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას 392 საბრძოლო ვაზნა, „ა-კა-74“-ის ტიპის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 3 მჭიდით, „ერ-გე-დე“-ს ტიპის ტანკსაწინააღმდეგო 1 ხელყუმბარა ამფეთქი ფალიით და მსხვრევადი ხელყუმბარის 1 ფალია ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

საბურთალოზე თანამედროვე მულტიფუნქციური სტადიონი გაკეთდება

საბურთალოს რაიონში ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება. პეკინის №24-თან სპორტული მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტს საბურთალოს რაიონის გამგეობა აფინანსებს. მოედანი აღიჭურვება მსოფლიო სტანდარტის მქონე სპეციალური, პოლიპროფილური საფარით და მასზე სპორტის სხვადასხვა სახეობის თამაშების ჩატარება იქნება შესაძლებელი. რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყობა ახალი, ეკოლოგიურად სუფთა საფარი, რომელიც სერტიფიცირებულია და მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება.

თბილისის მერიის ინფორმაციით, სპორტული მოედანი არც ისე დიდი ხნის წინ შეკეთდა, თუმცა იმის გამო, რომ სტადიონის უხარისხო საფარი პირდაპირ გრუნტზე იყო დამაგრებული, მოედანი მალევე დაზიანდა.

სამუშაოებს კომპანია „პარმა“ ასრულებს. პროექტის ღირებულება 133 ათას 900 ლარია.

„ვერსიანიუსი“

გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ახალი მტკიცებულებები გაჩნდა

მელიქიშვილისა და შანიძის კუთხეში, აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობის ადგილზე ოჯახის წევრები და მეგობრები შეიკრიბნენ. შარაძის ოჯახი და საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღემდე დარწმუნებულია, რომ გიორგი ბარათელს, რომელიც გურამ შარაძის მკვლელობისთვისაა დაკავებული, აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია.

„დღეს შევიკრიბეთ იმ ადგილას, სადაც 8 წლის წინ მამაჩემი დახვრიტეს. რაც შეეხება საქმის გამოძიებას, ახალი ის არის, რომ გამოძიება დაიწყო, რაც თურმე შესაძლებელი ყოფილა. საქმის გამოძიების დაწყებას ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან ვითხოვდით, თუმცა კბილაშვილის უწყებამ ამ მხრივ არაფერი გააკეთა. ამ დღეებში ირაკლი შოთაძესთან ვაპირებ შეხვედრას. ვიცი, მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს და ახალი მტკიცებულებებიც გაჩნდა. ამ დროისთვის საქმის დეტალებზე საუბარი არ შემიძლია. ამის შესახებ შოთაძესთან შეხვედრის შემდეგ ვისაუბრებ. რაც შეეხება გიორგი ბარათელს, ჩემი ინფორმაციით, იგი პატიმრობაში რჩება. ბარათელს რამდენიმე ამნისტია შეეხო და დაახლოებით 2 წელი აქვს დარჩენილი, თუმცა იმედი მაქვს, საქმის გამოძიება მალე დასრულდება და ბარათელი ვადაზე ადრე დატოვებს საპატიმროს“, — განაცხადა გურამ შარაძის შვილმა რუსუდან შარაძემ.

ქართველი საზოგადო მოღვაწის, ფილოლოგის, ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის, გურამ შარაძის მკვლელობიდან 8 წელი გავიდა. აკადემიკოსი 2007 წლის 20 მაისის საღამოს თბილისის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

მე-3 გვერდიდან

ეს არ არის მხოლოდ რუსეთი და უკრაინა, სადაც ომია და რუსეთს სანქციები დაუწესეს, ეს არის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, ასევე ყაზახეთი, რომლებიც ნავთობის ექსპორტიორები არიან. ნავთობის ფასის ცვალებადობამ ამ ქვეყნების შემოსავლები შეამცირა და შესაბამისად, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ჩვენს საქონელზე მოთხოვნა შემცირდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აზერბაიჯანმა ისეთი ავტომობილების იმპორტი აკრძალა, რომლებიც „ევრო 4“-ის სტანდარტს არ აკმაყოფილებს, რამაც ყველაზე მეტად საქართველოზე იმოქმედა. ეს არის პრობლემების ნაწილი, რის გამოც ქვეყანაში დოლარის შემოდინება შემცირდა, რასაც გაცვლითი კურსის გაუფასურება მოჰყვა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რაც ამის შემდეგ მოხდა, ყველა ნაბიჯი ლოგიკური იყო, რადგან ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა. მეც მაინტერესებს, როგორ მოხდა, რომ ერთ დღეში, ლარი თითქმის 6 თეთრით გაუფასურდა, მაგრამ ეს არის რეალობა, რომელსაც საკმაოდ მყარი ეკონომიკური ახსნა აქვს. თუმცა არის მეორე მხარეც, უფრო უკრაინული გრივნასა და რუსული რუბლის გაუფასურების გამო, ამ ქვეყნებიდან შედარებით იაფი იმპორტი შემოდის, რაც ქვეყანაში ფასების ზრდას აბალანსებს. არის საქონელი, რომელიც გაიაფდა კიდეც, მაგალითად, რუსეთიდან და უკრაინიდან იმპორტირებული რძის პროდუქტი, რკინის ნაწარმი, რომელიც მშენებლობაში გამოიყენება და ასე შემდეგ. ეს პროცესი ფასების ზრდაში არ გადაზრდილა და ამ თვალსაზრისით, სტაბილური ეკონომიკური გარემოა, თუმცა საკმაოდ სერიოზული პრობლემებია. მოსახლეობის ნაწილს სესხი დოლარში აქვს, შემოსავალი კი — ლარში და ბუნებრივია, მათი მდგომარეობა დამძიმდა. თუმცა ამ საკითხზე კომერციული ბანკები მუშაობენ, რადგან არცერთ ბანკს არ უნდა, მისი კლიენტები გადახდისუუნაროები გახდნენ, ამიტომ ისინი რესტრუქტურიზაციაზე მუშაობენ.

— ამ პრობლემის დასარეგულირებლად მთავრობამ რა ნაბიჯები უნდა გადადგას?

— ამ ვითარებას კომპლექსურად უნდა შევხედოთ და არ გავიშვიროთ ხელი მხოლოდ ფინანსთა სამინისტროსკენ ან სხვა, რომელიმე უწყებისკენ, თუმცა პირდაპირ გეუბნებით, ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს! ცნობილია, რომ ამ ვითარებას მოკლევადიან პერსპექტივაში პრივატიზაციის პროცესი დაარეგულირებს, რაც ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფს. ზოგადად, ამ ვითარებას ინვესტორებთან ურთიერთობა, მათი მოძიება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება უშველის და სხვათა შორის, „იბიარდის“ ბიზნესფორუმი“ ამის ერთ-ერთი კარგი შესაძლებლობა იყო. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ამ ვითარებას ქვეყნის ცნობადობის გაზრდაც შეუწყობს ხელს და ამის ერთ-ერთი ფაქტორიც „იბიარდის“ ღონისძიება იყო. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, თებერვალში განვაცხადეთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 5% ვეღარ იქნება და სამწუხაროდ, მოგვიწევს, სახელმწიფო ბიუჯეტს გადავხედოთ. თუმცა

ხაზგასმით გეუბნებით, ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება სოციალურ პროექტებს არ შეეხება! დღევანდელი მდგომარეობით, დაახლოებით, 200 მილიონი ლარით მეტია საბიუჯეტო შემოსულობები, ვიდრე ხარჯი. საშუალოვადიან პერიოდში, ლარი დასტაბილურდება, ამ მხრივ, ბოლო სამი დღის ვაჭრობის შედეგები იმედისმომცემია, მაგრამ ამ მონაპოვარს უნდა გავუფრთხილდეთ! იმედი მაქვს, სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის პირობებში, ლარი დასტაბილურდება. ეს აღნიშნა კიდეც საერთაშორისო სავალუტო ფონდის — სსფ მისიის წარმომადგენელმა საქართველოში, აზიმ სადიკოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ ისევე, როგორც საქართველოს, ლარსაც ნათელი მომავალი აქვს.

— ვფიქრობ, პრობლემა ის არის, რომ, როცა ლარის გაუფასურება დაიწყო, სულ სხვა პოზიცია გქონდათ თქვენც, პრემიერ-მინისტრსაც და ეროვნული ბანკის პრეზიდენტსაც. საზოგადოებამ ერთად მხოლოდ იანვარში განახათ, როდესაც ლარი მკვეთრად გაუფასურდა. რაც მთავარია, ჩვენი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა სახარბიელო რომ არ ყოფილა, ეს 2014 წლის ზაფხულშიც იცოდით, ტურისტების რაოდენობა რომ შემცირდა, ესეც იცოდით, რატომ ვერ გათვალეთ საფრთხეები?

— წარმოიდგენდით, რომ აზერბაიჯანი ერთ დღეში, 34%-ით გააუფასურებდა საკუთარ ვალუტას? პროგნოზები საკმაოდ რთულია, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, მეცნიერებათა დოქტორის, ალან გრინსპენის წიგნი ახლაც მაგიდაზე მიდევს, რომელიც წლების მანძილზე, ფედერალურ სარეზერვო სისტემას ხელმძღვანელობდა. გრინსპენის აზრით, 2007 წელს დაწყებულმა კრიზისმა დაადასტურა, რომ მაკროეკონომიკური პროგნოზირება მთლად ზუსტი მეცნიერება არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მაინც აუცილებელია. ეკონომიკის 5%-იან ზრდასთან დაკავშირებით, ჩვენს პროგნოზს, რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტი დაიგეგმა, სსფ და ეროვნული ბანკიც დაეთანხმა. თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი განახევრდებოდა, რასაც იაფი ნავთობის შემოდინების გამო, საქართველოში საწარმოო დანახარჯის შემცირება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მეორე მხრივ, ნავთობის ფასის შემცირებამ, ჩვენს სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტი შეამცირა. ყველაფერს ორმაგი ეფექტი აქვს და სამწუხაროდ, დადებითი ეფექტები უარყოფითმა ფაქტორებმა გაანეიტრალა. ყველამ ვიცოდით, რომ რუსეთსა და უკრაინაში სერიოზული პრობლემა იყო, მაგრამ ამ ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტში მხოლოდ 15%-ია. ყველაზე ცუდი ვარიანტიც რომ განგვეხილა, ანუ ექსპორტი საერთოდ რომ შეჩერებულიყო, ამას მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა მხოლოდ 1%-ით უნდა შეემცირებინა. ამის მიუხედავად, ფაქტია, ცუდი იანვრის შემდეგ, შედარებით უკეთესი თებერვალი და მარტი დადგა, ორივე თვეში, ეკონომიკური ზრდა 4%-ზე მაღალი იყო. ახლა აპრილის დაზუსტებულ შედეგებს ველოდებით და სავარაუდოდ, ჩვენს მონაცემებზე დაყრდნობით, ამ ინფორმაციას „საქსტატი“ თვის ბოლოს გამოაქვეყნებს. ხაზგასმით ვაცხადებ, ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ წელს 5%-იანი ზრდის მიღწევას შევძლებთ.

— ბატონო ნოდარ, საქართველოში ეკონომიკური კრიზისი არ არის, მაგრამ ლარის 31%-იანი გაუფასურების ფონზე, ეს აშკარად სავალუტო კრიზისის ნიშნებია. დიდი ხნის მანძილზე, თქვენც და მთავრობის სხვა წევრებსაც ამის აღიარება რატომ გაგიჭირდათ?

— არ ვიცი, აღიარება ვის გაუჭირდა, მაგრამ თავიდანვე ვთქვი, რომ ეს არ იყო ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც თავისი განმარტება, მაჩვენებლები და ინდიკატორები აქვს. საბედნიეროდ, საქართველოში ეკონომიკური კრიზისი არ არის, მაგრამ საკმაოდ სერიოზული პრობლემაა და ამას თავიდანვე ვაცხადებდით. არავის გახარებია, როდესაც 2014 წლის ბოლოს, ლარის კურსი 2.0-ს მიუახლოვდა და არც შემდეგ, როდესაც 2.30-ს გადასცდა. ცხადია, ვაღიარებთ, სავალუტო სფეროში სერიოზული პრობლემებია, თუმცა არ მგონია, რომ ეს ვინმეს დაემალა. გაცვლითი კურსის პრობლემას ყველა ხედავს და ეს როგორ დაგვემალა?

— თქვენთან ერთად, მეც მაინტერესებს, რატომ გაუფასურდა ლარი ერთ დღეში თითქმის 6 თეთრით?

— არ ვიცი, ვერ ავხსნი, რადგან კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს. შესაძლოა, ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო, სპეკულაციური ნიშნები იყო, ყოველ შემთხვევაში, მინდა ვირწმუნო, რომ ეს გამიზნული ქმედება არ ყოფილა.

— იქნებ, იმის ბრალია, რომ სავალუტო ჯიხურები ეროვნული ბანკის რეგულირების გარეშე დარჩნენ და სწორედ ამ ჯიხურებში შეინიშნება ლარის კურსის ცვლილების სპეკულაციური ნიშნები?

— ამ პროცესამდე არ შემიმჩნევია, რომ შაბათ-კვირას, კურსი უფრო დაბალი ყოფილიყო, ვიდრე სამუშაო დღეებში. სავალუტო ჯიხურებში ბრუნვის დიდი წილი აღარ არის, ეს ახლა კომერციულ ბანკებშია, მაგრამ სავალუტო ჯიხურებსაც სჭირდება გარკვეული რეგულირებები. მომხმარებელთა დაცვის ასოციაციამ რამდენჯერმე ჩამაყენა საქმის კურსში, რადგან ჯიხურების გარე ფასადსა და შიგნით, გაცვლითი კურსის სხვადასხვა ფასებია მითითებული. ზოგ ჯიხურს ძალიან წვრილად აწერია სულ სხვა კურსი, რომელსაც ყურადღებას არავის აქცევს და ყიდვა-გაყიდვას შორის ფასის სხვაობის გარდა, იქ საკომისიოსაც იტოვებენ. ჩემი აზრით, ამ სფეროს გარკვეული რეგულაცია სჭირდება, რათა ხალხი არ დაზარალდეს და უნებურად, თაღლითების მსხვერპლად არ იქცეს.

— ეკონომიკური სიტუაციის დასარეგულირებლად მთავრობამ სამპუნქტიანი გეგმა შეიმუშავა, უკაცრავად, მაგრამ ეს გეგმა ბუნებაში არსებობს?

— როგორ არ არსებობს, აბა, რა წარვადგინეთ პარლამენტის კომიტეტების სხდომაზე? გარწმუნებთ, ასეთი დოკუმენტი არსებობს და ჩვენ ამ გეგმის მიხედვით ვმუშაობთ. ამ დოკუმენტის თანახმად, პრივატიზაციის პროცესი უნდა დაჩქარებულიყო და წელს, ოთხ თვეში, უფრო მეტი პრივატიზაცია განხორციელდა, ვიდრე შარშან, მთელი წლის მანძილზე. ახალი ინვესტიციების თვალსაზრისით, ბევრს ვმუშაობთ ბაზრებზე და ამ მიზნით, საქართველოში ჩინეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი იმყოფებოდა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. რეალური შესაძლებლობა ჩნდება, ჩინეთის ბაზარზე ქართული საქონელი გავიტანოთ.

— ლარის კურსის დასასტაბილურებლად, ბიუჯეტის სეკვესტრიც გარდაუვალია...

— არანაირი სეკვესტრი! გიმეორებთ, ტერმინებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მართალია, ესეც ხარჯის შემცირებაა, ოღონდ სეკვესტრს პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება, ეს ფინანსთა მინისტრის ვალდებულებაა. წლების წინ, ფინანსთა მინისტრს უფლება ჰქონდა, გარკვეული ტიპის საბიუჯეტო ხარჯები 10%-ით შეემცირებინა და მას ამისთვის პარლამენტის თანხმობა არ სჭირდებოდა. რაც შეეხება ახლანდელ მდგომარეობას, იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის მაჩვენებლებს უკვე გადავხედეთ, მომავალ კვირაში, მაკროეკონომიკურ პარამეტრებს წარვადგენთ. ამ ფონზე, შესაძლებელია, გარკვეული ტიპის საბიუჯეტო ხარჯი შევამციროთ და უახლოეს მომავალში, მთავრობა ამ დოკუმენტს პარლამენტს წარუდგენს.

— ეროვნული ბანკი რეფინანსირების აუქციონს იმიტომ ატარებს, რომ ამით მთავრობას საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვაში ეხმარება?

— არა, კატეგორიულად უარვყოფ! რეფინანსირების აუქციონზე, კომერციული ბანკები სესხულობენ ეროვნული ბანკისგან ფულს, მთავრობა აქ რა შუაშია? შესაძლოა, კომერციულმა ბანკებმა სახაზინო ვალდებულები გირაოს სახით გამოიყენონ, მაგრამ ეს სრულიად განსხვავებული მექანიზმია. ზოგადად, ეკონომიკაში ყველაფერი დაკავშირებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში, რეფინანსირების აუქციონის მიზანი, მიზეზი და შედეგი აბსოლუტურად განსხვავებულია.

ეკონომიკა

მსოფლიოს 5 უმსხვილესი ბანკი სავალუტო ბაზარზე მანიპულირებისთვის 5,7 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს

რა კავშირშია საერთაშორისო გარიგებებთან საქართველოში ეროვნული ვალუტის ცვალებადობა

გიორგი იაშვილი

საქართველოში, მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს სერიოზული ეჭვი აქვს, რომ ეროვნული ვალუტის ცვალებადობა შემთხვევითი არ არის და ინფლაცია შეგნებულად, კურსზე მოქმედებით ხორციელდება. საქმეში ჩახედული ხალხი ხელს გიორგი ქადაგიძისკენ იშვერს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ არაფერ შუაშია და ეს ყველაფერი მისი ბრალი არ არის, თუმცა...

გაირკვა, რომ მსოფლიოს 5 უმსხვილესი ბანკი სავალუტო ბაზარზე მანიპულირებისთვის 5,7 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს. BBC-ის ინფორმაციით, JPMorgan-მა, Citigroup-მა, Barclays-მა და RBS-მა დანაშაული აღიარეს, UBS კი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს — მას ბრალად საპროცენტო განაკვეთების გაყალბება ედება. ყველაზე დიდი ჯარიმა Barclays-ს დაეკისრა. ბანკს 2,4 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს. ბანკმა ნოემბერში საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

რაც მთავარია, ეს დანაშაული გუშინ და დღეს კი არა, 2007 წლიდან მოყოლებული ყოველდღე ხდებოდა და აღნიშნული ბანკები კერძო ელექტრონული ჩატის გამოყენებით, ტრეიდერების მეშვეობით, კურსზე ხელოვნურად მანიპულირებდნენ.

„მათმა ქმედებამ ზიანი მიაყენა მსოფლიოს უამრავ ფინანსურ ინსტიტუტს, ინვესტორსა და მომხმარებელს“, – აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურორმა.

ბანკები, საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, ერთმანეთთან სხვადასხვა გარიგებას დებდნენ. Citigroup, JP Morgan, Barclays და Royal Bank of Scotland კოდირებული ენის გამოყენებით, 2007 წლის დეკემბრიდან, 2013 წლის იანვრის ჩათვლით, ამერიკული დოლარისა და ევროპული ევროს კურსის დადგენაში მანიპულირებაში არიან დადანაშაულებულები.

ეს ის რეალობაა, რომელშიც ვცხოვრობთ და საქართველოს ეროვნულ ბანკს რომ შეუძლია ასეთ პატარა ქვეყანაში მანიპულირება, ადვილი მისახვედრია. დიდი ბანკები მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნებისა და უძლიერესი ეკონომიკის მქონე ინსტიტუტების დასუსტებას ახერხებენ.

ბურჯანაძის პოლიტიკური დეჟა ვუ, სასიკვდილო შიმშილობა, გადადებული „სირცხვილის მარში“ და გუნდაობა რუსთაველზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ვინ როგორ აპირებს 26 მაისის აღნიშვნას და რატომ მართავს აქციას ოპოზიცია ოპოზიციის წინააღმდეგ

26 მაისს საქართველოსთვის რამდენიმე დატვირთვა აქვს: ეს დღე პირველად 1918 წელს ვიზეიმეთ, როცა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. შვიდი ათეული წლის შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მივიღეთ, 1991 წლის 26 მაისს კი ქვეყნის პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია ავირჩიეთ. ეს საყოველთაო ზეიმის დღე 2011 წლის 25 მაისის ღამეს, ოპოზიციის აქციის სასტიკად დარბევის გამო დაიჩრდილა და რუსთაველის გამზირზე სისხლიანი 26 მაისი გათენდა. დღეს მოქმედ პოლიტიკურ სპექტრში, სადაც ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც გვხვდებიან, 26 მაისთან ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს — თუმცა ვიღაცისთვის იგი სააკაშვილის „პირსისხლიანი რეჟიმისთვის“ ნიღბის ჩამოხსნასთან ასოცირდება. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი, დამოუკიდებლობის დღეს, სამხედრო აღლუმი აღარც ჩატარებულა, ხელისუფლების დემონსტრაციული პოზიციით, „დამარცხებული ჯარის აღლუმს“ არ ჩავატარებთო. მოკლედ, გთავაზობთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის საოცდაექვსმაისო გეგმებს და თავად განსაჯეთ, ვინ რამდენად ადეკვატურად აპირებს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას.

მთავრობის გადაწყვეტილებით, „ყველა ასაკის ადამიანისთვის საინტერესო ღონისძიებების“ სია ასეთია: ზეიმი 12:00 საათზე თეატრალიზებული მსვლელობით დაიწყება; 13:00 საათზე ფიცის დადების ცერემონიის შემდეგ, რუსთაველზე ავიაშოუ გაიმართება და საღამოს 20:00 საათამდე სახელმწიფო უწყებები თავიანთ კუთხეებს მოაწყობენ. ყველაზე ორიგინალური მაინც ხელოვნური დათოვლიანების იდეაა, სადაც საგუნდაო და საციგურაო ადგილები იქნება გამოყოფილი. სადმე, ერთ მოკრძალებულ კუთხეში, სამხედრო ტექნიკასაც გამოფენენ, 20:00 საათზე კი პარლამენტის წინ გალაკონცერტი გაიმართება, რომელიც დიდი ფოიერვერკით დასრულდება. ყველაზე დიდი რეზონანსი, მათ შორის, პოლიტიკურ ძალებშიც, რა თქმა უნდა, გაზაფხულის მიწურულს, რუსთაველზე სრიალისა და გუნდაობის იდეამ გამოიწვია და ლეიბორისტ **გიორგი გუგავას** ბიძინა ივანიშვილის ლეგენდარული პინგვინი გაახსენა. თუმცა 26 მაისთან დაკავშირებით არაფერს აპირებენ და სხვისი გეგმების შესახებაც ჩვენგან გაიგეს: **„ერთი ის ვიცი დანამდვილებით, რომ ბიძინა ივანიშვილის არქტიკულ პინგვინს საციგურაო მოედანს უწყობენ. რაც შეეხება ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციებს, ინფორმაცია არ მაქვს და იმედია, ორგანიზატორები შეგვატყობინებენ, რას აპირებენ და რისკენაა მიმართული მათი აქციები. ჩვენ, 26 მაისთან დაკავშირებით, არავითარ აქციას არ ვმართავთ, საკუთარი დღის წესრიგითა და სოციალური საკითხებით ვართ დაკავებული. სწორედ ახლა, წყალი გააძვირეს მცხეთაში და აქციას ამ თემაზე ვმართავთ“.** სამაგიეროდ, წელს **ნინო ბურჯანაძემ** გადაწყვიტა გააქტიურება და რამდენიმე პარტიასთან ერთად, 2011 წლის მოვლენების გაპროტესტებას ისევ აპირებს. სხვათა შორის, მისი პარტიისა და სახალხო კრების აქცია, თავის დროზე, სააკაშვილმა იმიტომ დაარბია, რომ ხალხი 25 მაისის ღამეს რუსთაველზე პარლამენტის წინ იყო შეკრებილი და სამხედრო აღლუმის ჩაშლას აპირებდა. მართალია, ახლა სამხედრო აღლუმი არ ტარდება, თუმცა სხვადასხვა ღონისძიებაა დაგეგმილი, ამიტომ იმის გარკვევას შევეცადეთ, ტექნიკურად, ზეიმსა და აქციას მრავალტანჯული რუსთაველი ერთად როგორ დაიტევს. ამ თემაზე კომენტარი „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ გაგვიკეთა, რომელიც ბურჯანაძის პოლიტიკურ დეჟა ვუ-ს უერთდება: **„25 მაისს, ღამის 11 საათზე ყველანი შევიკრიბებით რუსთაველზე და ეს აქცია 26 მაისთან იქნება დაკავშირებული. აქციას ნინო ბურჯანაძის ოპოზიციურ კოალიციასთან ერთად ვმართავთ და თუ ამ ღონისძიებას რომელიმე პარტია შეუერთდება, მოხარულები ვიქნებით. ახლა გარკვეული ესაა, ფორმასა და სხვა დეტალებზე მოგვიანებით გეტყვით“.** „ვერსიასთან“ თემა ლეიბორისტებიდან წამოსულმა **სოსო შატბერაშვილმა** განავრცო, რომლის „მემარცხენე ალიანსი“ ბურჯანაძეს გასულ 2 არჩევნებზეც მხარს უჭერდა. მისი თქმით, 26 მაისს აქციაზე ხალხი უნდა გააფრთხილონ, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნებას სამოქალაქო არეულობის გზით აპირებს. **„ჩვენს აქციას 2 დატვირთვა ექნება: 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა და მეორე — 26 მაისი სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის ყველაზე საზარელ, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის ამოსუნთქვასთან ასოცირდება. ამ აქციას მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა და 4 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. მაპატიონ გარდაცვლილთა სულებმა, მაგრამ მათი გვამები შენობების სახურავებზე შეყარეს და ურცხვად განაცხადეს, რომ მათ დენმა დაარტყა. ყველაზე დიდი ცინიზმი კი მეორე დღეს ვიხილეთ, როცა სააკაშვილმა ახლადსისხლმოწმენდილ ტერიტორიაზე ე.წ. ინტელიგენტებს ჯილდოები გადასცა და ახალგაზრდა გოგონამ ამ სისხლისოხშივარიან ღონისძიებაზე იმღერა კიდეც. აი, ამიტომ ვიკრიბებით 25 მაისს, ღამე, რომ ხალხმა ეს ყველაფერი არ დაივიწყოს.**

რაც შეეხება ტექნიკურ ნაწილს, კონსტიტუციით, აქციის ჩატარების უფლება ნებისმიერ ადგილასა და დროს გვაქვს, თუ ეს ტრანსპორტის მოძრაობას ხელს არ უშლის. ხოლო თუ უშლის და გზა უნდა გადაიკეტოს, მერიისგან ნებართვა ამ შემთხვევაში უნდა ავიღოთ. 2011 წლის 26 მაისის აქციასაც არ სჭირდებოდა სანქცია, მაგრამ ხელისუფლებამ ის მაინც ბარბაროსულად დაარბია. ამ აქციას ნინო ბურჯანაძის პარტია, „ქართული დასი“, სახალხო კრების წარმომადგენლები და ჩვენი პარტია დაესწრება. მინდა, მოქალაქეებს მოვუწოდო, გამოვიდნენ ღამის 11 საათზე და გააპროტესტონ ამ მიტინგის სისხლიანი დარბევა და მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს. ასევე, ძალიან გააქტიურებულია ნაციონალური მოძრაობა, რომელიც არეულობის შედეგად ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავს. მათ სახელმწიფო გადატრიალებისა და 2003 წლის გამეორება სურთ, ამიტომ საზოგადოებას მოვუწოდებთ, ფრთხილად და ფხიზლად იყოს. 25 მაისს კი რომ გავალთ ადგილზე, ვითარების მიხედვით გადავწყვეტთ, როგორ და რამდენ ხანს გავაგრძელოთ აქცია“. თუმცა ალბათ, 2015 წლის 26 მაისი ფორმითაც და შედეგებითაც განსხვავებული იქნება, რადგან ბურჯანაძე „ოცნების“ ოპოზიციონერობით თავს დიდად არ იწუხებს. ამ დღეებში, ოპოზიციის მეორე ნაწილის მხრიდან ხმაურიანი ანონსი ისმოდა — რაკი რუსთაველზე აღლუმი არ ტარდება, ჩვენ ჩავატარებთ ბიძინა ივანიშვილის სახლთან „გადაგდებული და მოტყუებული ხალხის მარშსო“. თუმცა, სავარაუდოდ, რამდენიმე პარტია, მათ შორის, ქრისტიან-დემოკრატები და „რეფორმატორები“ გეგმას შეცვლიან და „სირცხვილის აღლუმს“ აღარ ჩაატარებენ. ამის შესახებ **გოჩა ჯოჯუა** გვესაუბრა, რომლის თქმით, დანარჩენი ოპოზიცია ნინო ბურჯანაძის გეგმებს არ იცნობს: **„არაფერი რომ არ ჩატარებულიყო, საპროტესტო აქციას ამ შემთხვევაში გავაკეთებდით, მაგრამ თუ ღონისძიებებია დაგეგმილი, ხალხი გამოდის და ზეიმს აპირებენ, შენ შავი ჩაიცვა და ყვირილი დაიწყო, ცოტა არასწორია. პირადად ჩემი აზრია, რომ როცა კონცერტია ქვეყანაში, რამდენიმე მეტრში აქციის გამართვა არცთუ სასიამოვნოა. ამის მომხრე არ ვარ, არ მინდა, ხალხის ნაწილს საზეიმო განწყობა ჩავუშხამო.**

ისიც საინტერესოა, რას აპირებს ნინო ბურჯანაძე 25-ში, ღამით. აქამდე მას თავშეკავებული პოზიცია ჰქონდა და თუ გააქტიურება დაიწყო, ე.ი. მიმხვდარა, რომ გაჩუმება არაფრისმომცემია. აქამდე მისი გეგმების შესახებ არ ვიცოდით. თუმცა ბურჯანაძეს ეს მომენტი ყოველთვის ჰქონდა — აი, მე აქ დავდგები და მერე ყველა პარტია მოვა, აბა, რას იზამსო. ჩანს, ახლაც ასე იქცევა და როგორ უნდა გავყვე, როცა არ ვიცი, საით მივყავარ და არც ორგანიზატორების რიგში ვარ?! ერთიანი ოპოზიციაც ზუსტად იმიტომ არ არსებობს, რომ ნინო ბურჯანაძეს სურდა, თავად მმართველი ყოფილიყო, ყველა დანარჩენი კი შემსრულებელი. საერთოდაც, ყოველთვის ამ ამბიციების გამო იშლებოდა ოპოზიციური ერთობა“. ყველაზე რადიკალური კი, გეგმებსა და გამოხატვის ფორმებში კვლავ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, **ირაკლი წერეთელია,** რომელიც აცხადებს, რომ 20 დღეზე მეტია შიმშილობს და კონკრეტულ აქციასაც აანონსებს: **„ჩემი შიმშილობა ფატალური შედეგითაც რომ დასრულდეს, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. ჩემს ვიდეომიმართვებს ხალხი სოლიდარობას უცხადებს, ამიტომ 26 მაისს, 15:00 საათზე, რუსთაველის ძეგლთან მინიმუმ 50 000 კაცი თუ გამოვა და სერიოზული დემონსტრაცია მოეწყობა, შეიძლება, შიმშილობა შევწყვიტო. 52 დღე იშიმშილა ორმა გამხდარმა ირლანდიელმა, მე კი დათვივით ვარ, ცხიმის იმხელა მარაგი მაქვს, ერთი ზამთარი მეყოფა. თუ 26 მაისს ყველაფერი ისე იქნება, როგორც ვთქვი და გრანდიოზული, ანტისაოკუპაციო, ატლანტიკური, განმათავისუფლებელი დემონსტრაცია ჩატარდება, ვიძლევი პირობას, რომ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ძირფესვიანად შევცვლი“.**

როგორც გავარკვიეთ, შედარებით მოკრძალებული გეგმები აქვს ნაციონალურ მოძრაობას. შესაძლოა, მათ ლოკალური საზეიმო ღონისძიებები თბილისსა და რეგიონებში ჩაატარონ, უფრო კონკერტულად კი ამის შესახებ, თურმე, „უიქენდზე“ იმსჯელებენ. მოკლედ, 2015 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ბურჯანაძის პოლიტიკური დეჟა ვუს, სასიკვდილო შიმშილობის, გადადებული „სირცხვილის მარშია“ და რუსთაველზე გუნდაობის ფონზე ჩაივლის!

ვერსიანიუსი

ზვიად ძიძიგური: „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო ლიდერია“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური დარწმუნებულია, რომ რიგის სამიტზე საქართველო მხოლოდ პოზიტიურ გზავნილებს მიიღებს, რადგანაც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე წარმოდგენილ 6 ქვეყანას შორის საქართველო უდავოდ ლიდერი სახელმწიფოა. მისი განმარტებით, 6 თვის განმავლობაში საქართველომ შეუძლებელი გააკეთა და ყველა ვალდებულება შეასრულა, რომელიც ევროკავშირთან დაახლოებისთვის იყო საჭირო. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი საგანგებო კონფერენციაზე ვიზალიბერალიზაციის პროცესსაც შეეხო და იმედი გამოთქვა, რომ იგი დაჩქარდება.

„რიგაში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე წარმოდგენილ ექვსივე ქვეყანას შორის საქართველო ისე ჩადის, როგორც ლიდერი ქვეყანა. დიახ, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ექვს ქვეყანას შორის საქართველო ლიდერია. საქართველომ მოახერხა და ექვს თვეში შეასრულა ის ვალდებულებები, რაზეც ჩვენ კოლეგებს რამდენიმე წელი დასჭირდათ, მხედველობაში მაქვს ვიზალიბერალიზაციის თემაც. რიგის სამიტთან დაკავშირებით ეს ყველაზე აქტუალური საკითხია. საქართველოს ევროპარლამენტარების დიდი ნაწილი მხარს უჭერს, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესი უფრო დაჩქარდეს. ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მოლდოვამ ორი წლით ადრე დაიწყო პროცესები, მაგრამ საქართველომ უფრო ჩქარა ჩაატარა ეს პროცედურები და დღეს ვიცით ერთი რამ — ევროკავშირის ქვეყნები, ჩვენი კოლეგები მოწადინებულები არიან, საქართველოსაც და უკრაინას გაუწიონ დახმარება ვიზალიბერალიზაციის კუთხით“.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი რიგაში 21-22 მაისს გაიმართება. მას ევროსაბჭოს პრეზიდენტი დონალტ ტუსკი უხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ რიგის სამიტში ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფო და აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 სახელმწიფო — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა და ბელარუსი მონაწილეობს.

ნინი ჯაფარიძე

ცნობილი ბიზნესმენის შვილის შეკერილი საქმე

როგორ „შეტენა“ მამამ ორი გოგოს გაუპატიურება და მკვლელობა

პატიმარი №0578

რამდენიმე წლის წინ თბილისში საზარელი დანაშაული მოხდა. ორი ქალი სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ორივეს ძალადობის ნიშნები ეტყობოდა და ორივე გაუპატიურებული იყო. სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე ამირან მ. დააკავეს. სასამართლომ ამირანს 30 წელი მიუსაჯა და ჯერ გლდანის ციხეში გააჩერა კარგა ხანს, შემდეგ რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაისროლა. ამირანი საკარანტინო განყოფილებაში იყო, როცა მასთან ახლადმოყვანილი სამი პატიმარი შეუშვეს: გიორგი გ. გიორგი შ. და პატიმარი №0578. ახლადმოსულები ამირანს მიესალმნენ, თუმცა მან, მისალმების ნაცვლად, ნერვიულად იკითხა: „რაზე ზიხარ?!“

„წამალზე“, — მშვიდად მიუგო გიორგი გ-მ.

„შენ?!“ — ახლა მეორე გიორგის მიუბრუნდა ამირანი.

„ყაჩაღობაზე“, — გაუღიმა გიორგიმ.

„შენ?!“ — ახლა №0578 ამოიღო მიზანში ამირანმა.

„და შენ პატიმარი ხარ თუ პროკურორი?! რამდენ კითხვას სვამ?! ანკეტას ავსებ?!“ — აქეთ შეეკითხა №0578.

„არა, უბრალოდ... მეშინია და...“, — აღარ დაამთავრა ამირანმა.

„რისი გეშინია?!“ — დაინტერესდა №0578.

„საქათმეში“ არ მომახვედრონ შემთხვევით და „ქათმები“ არ შემომიყვანონ“, — ჩუმად თქვა ამირანმა.

ორივე გიორგიმ გაოცებით გადახედა ერთმანეთს, №0578-მა კი ხმამაღლა გადაიხარხარა.

„ანუ წეღან რომ გვეკითხებოდი, ვინ რაზე ზიხართო, „ქათმები“ გეგონეთ და იმას არკვევდი, ისეთ რამეზე ხომ არ ვიჯექით, „საქათმის პასაჟირები“ ვყოფილიყავით?! საინტერესოა და... შენ რაზე ზიხარ?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„მაგას მაყურებლებთან რომ ავალ, იქ ვიტყვი“, — დაბეჯითებით თქვა ამირანმა, თუმცა №0578 აღნიშნულმა პასუხმა არ დააკმაყოფილა.

„კი, მაგრამ, ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ, შენ რა ჩაიდინე?! ეგებ შენ ხარ „საქათმის პასაჟირი“ და მით უმეტეს, როცა აქეთ მოგვიწყვე დაკითხვა, შენ კი ხმას არ იღებ, ცოტა არ იყოს, უხერხულია, ძმობილო“, — რაც შეიძლება მშვიდად უთხრა №0578-მა.

„ჩემი მუხლით შეიძლება კი არა, უეჭველი „საქათმეში“ გამიშვებენ, მაგრამ მართალი ვარ, მე არ ჩამიდენია ის, რისთვისაც დამიჭირეს და რისთვისაც „გამსროკეს“. მეტს არაფერს ვიტყვი, მაყურებლებთან უნდა „ვიბაზრო“ დანარჩენი“, — ჯიუტად თქვა ამირანმა.

ბიჭები ზონაზე მესამე დღეს აიყვანეს. №0578 მაშინვე მაყურებლების კამერაში „შეათრიეს“, მოიკითხეს, მოეფერნენ. ზონის მაყურებელი ბავშვობის მეგობარი იყო და ამიტომ თავს ევლებოდნენ. №0578-მა მაყურებლების კამერაში დარჩენა იუარა, მთელი დღე თქვენი ქურდული „ბაზრის ღეჭვა“ არ შემიძლიაო და მშვიდი კამერა არჩია. თან დაიბარა, კარანტინში ერთი უცნაური პატიმარი დამხვდა და მაგას რომ ნახავთ, არ გამომაპაროთო. საკნისკენ მიმავალმა №0578-მა სხვა კამერაში ხმამაღალ საუბარს მოჰკრა ყური და მაშინვე იქ შეუხვია. ამირანს ღამის მთელი კამერა „ეკაჩავებოდა“. №0578 შუაში ჩადგა, „აქ ზონაა თუ ბალაგანი“, — ბოლო ხმაზე იღრიალა, ამირანს თვალით ანიშნა, გამომყევიო და მაყურებლების კამერისკენ წავიდა.

„აი, ეს არის ის „არესტანტი“. მოკლედ, ახლაც „ხიპიში“ იყო კამერაში, კარანტინში არ თქვა, რაზე „გასროკეს“, მაყურებლებს ვეტყვიო და თუ გინდა ჰკითხე“, — ჩაარაკრაკა №0578-მა.

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, პატიმარს სახელი და გვარი ჰკითხეს, მერე უბანი, სადაურობა და როცა საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინეს, პირდაპირ ჰკითხეს, რაზე ზიხარო.

„ბოლომდე უნდა მომისმინოთ. ის, რაზეც გამასამართლეს, მე არ ჩამიდენია. დამაბრალეს და არის მიზეზი, რის გამოც ვერაფერს ვამბობ. მე მართლა არ ჩამიდენია, არ მომიკლავს და არც გამიუპატიურებია“, — ნერვიულად დაიწყო ამირანმა.

„მოიცა, რა არ გიქნია?!“ — გააჩერა მაყურებელმა.

„არ მომიკლავს“, — ჩუმად გაიმეორა ამირანმა.

„ეგ დაიკიდე, კაცო, მერე რა თქვი, მაგის მერე?!“ — დაუკონკრეტა ზონის ნომერპირველმა პატიმარმა.

„არ გამიუპატიურებია“, — უფრო დაუწია ხმას ამირანმა.

„ანუ რა გინდა თქვა? გაუპატიურების მუხლით ხარ გასამართლებული?!“ — ისევ იკითხა მაყურებელმა.

„ჰო, მკვლელობისა და გაუპატიურების“, — დაუდასტურა ამირანმა.

„და შენ, ყმაწვილო, ამასთან ერთად კარანტინში სამი დღე იყავი, ხომ?!“ — ახლა №0578-ს მიუბრუნდა მაყურებელი.

№0578-მა უხმოდ დაუქნია თავი.

„ანუ იმასაც ხვდები, რომ ეს თუ „საქათმის პასაჟირია“, შენც, როგორც ამასთან ერთად ღამის გამთევი, „საქათმეში“ უნდა გაგისტუმრო“, — ჰკითხა მაყურებელმა.

„არა, მე არ უნდა გამისტუმრო და გეტყვი, რატომ. ესეც გლდანიდან მოყვანილია, იქ „საქათმეში“ არ მჯდარა, თორემ ჩვენთან არ შემოაგდებდნენ კარანტინში. ანუ შენ უნდა გადაწყვიტო, გაქათმდეს თუ არა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქამდე „ქათამი“ არ იყო. სწორად ავხსენი ხომ?!“ — გაუღიმა №0578-მა.

„ახლა მიხვდით, რატომ ვცემ ამ კაცს პატივს?“, — ღიმილით იკითხა მაყურებელმა, მერე კი ამირანს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა: „მოყევი მარტივად და მოყევი როგორც იყო. ხომ იცი, აქ ტყუილი არ გამოვა. პატიმრებმა გამომძიებლებზე და პროკურორებზე მეტი იციან. გისმენთ და თუ შევატყვე, რომ უკანალს ათამაშებ, იქ გაგიშვებ, სადაც მაგის თამაშს აფასებენ“.

„მოკლედ, ჩემს სახლში ორი გოგო იპოვეს, ორივე მოკლული და ორივე გაუპატიურებული. მეზობლებმა დაადასტურეს, რომ ის გოგოები სახლში მე ავიყვანე, ანუ იმის დამნახავი, რომ კორპუსის ეზოში ტაქსით მივედით, გადმოვედით, სადარბაზოში შევედით, ათეულობით ადამიანია. მე დამიჭირეს, 30 წელი მომცეს და ახლა აქ ვარ. ოღონდ, მე არც მომიკლავს და არც გამიუპატიურებია“, — ჯიუტად გაიმეორა ამირანმა.

„და რის საფუძველზე გაგსროკეს?!“ — ჰკითხა მაყურებელმა.

„რა თქმა უნდა, ყველგან ჩემი ანაბეჭდები იყო და...“, — ამირანმა შიშით მიმოიხედა.

„და?!“ — ფეხზე წამოდგა მაყურებელი.

„და სპერმაც დაემთხვა“, — ყრუდ თქვა ამირანმა.

მაყურებელმა გაოცებისგან პირი დააღო, დანარჩენებმაც ერთმანეთს დაუწყეს ყურება და უცებ თბილისის რეგიონის მაყურებელმა თქვა: „ეგ საქმე კი ვიცი, ისიც ვიცი, რომ ვიღაც დაიჭირეს, მაგრამ ვინმე ამიხსნის, ეს კაცი გლდანის ციხეში რატომ არ გაუშვეს საქათმეში?!“

„მაგას რა ახსნა უნდა, იდიოტო, გლდანის ციხეს მაყურებელი არ ჰყავს. ახლა მთავარი ის არის, სიმართლე გავარკვიოთ. ეს კაცი ამბობს, მე არ ვყოფილვარო და... მაშინ ის უნდა თქვას, ვინ იყო. ანუ, თუ ამის და იმ გოგოების გარდა იქ არავინ იყო, სპერმა ამისია და ღმერთმა შეარგოს, ანაბეჭდები ამისია, აბა, მე ხომ არ შემტენიდნენ“, — ლოგიკურად დაასაბუთა მაყურებელმა.

„მეც ვიცი ეგ საქმე. თითქოს ლაქები არსად არის, ყველაფერი მარტივია, გაზეთშიც ეწერა, მაგრამ იმ გაზეთში კიდევ რა ეწერა, იცით? ერთ-ერთი გოგოს ოჯახი მთელი შემადგენლობით ამტკიცებდა, მკვლელი სხვა არის და ხელს აფარებენო. აქეთ კიდევ პროკურორი გაიძახოდა, ვინ სხვა, ერთადერთი ეჭვმიტანილი გვყავს და ყველაფერი ემთხვევაო და ახლა ან შენ უნდა გვითხრა, ამირან, ის სხვა ვინ არის შენი აზრით, ან კიდევ იმის იმედად უნდა იყო, რომ მაყურებელი ბრმად დაგიჯერებს და ზონაში დაგტოვებს“, — ჩამოუყალიბა №0578-მა.

„რა ბრმად დაგიჯერებს, გაგიჟდი? „ქურდებმა“ რომ გაიგონ, ასეთი „პასაჟირი“ მყავს ზონაზე, პირველს მე გამიშვებენ „საქათმეში“. ახლა არ მითხრა, ვერ გაიგებენო. გაიგებენ კი არა, ყველაზე ადრე გაიგებენ. ასე რომ, ან ამიხსნი, რა ხდება, ან ჩამობარგდი იმ კამერიდან, სადაც ხარ და „საქათმისკენ“ ჰერი-ჰერი“, — მაყურებელი ისევ ფეხზე იდგა.

„მოკლედ, აი ჩემი განაჩენი, სადაც წერია, რომ სპერმა, რომელიც იმ გოგოების სხეულიდან ამოიღეს, ორი სახის არის, მაგრამ ძალიან მსგავსი ერთმანეთთან და ერთი რომ უეჭველი ჩემი იყო, მეორეც მე მომაწერეს. რეალურად კი სახლში რომ მივედი, საღამო იყო. არ ვიცი, რა ჩამიყარეს იმ ქალებმა სასმელში, მაგრამ გავითიშე. მერე, როცა აზრზე მოვედი, პოლიციას თავად გამოვუძახე, რადგან უდანაშაულობაში დარწმუნებული ვიყავი, ესეც წერია განაჩენში, რომ მე დავუძახე პოლიციას. სახლში, სანამ პოლიცია მოვიდა, მამაჩემის პასპორტი ვნახე. არ დამირეკავს, მერე მითხრა, როცა შევხვდით, რომ ჩემთან მოვიდა, გოგოები ბინას ასუფთავებდნენ, გაბრაზდა, ხელი დაარტყა და ერთ-ერთი რომ წაიქცა, თავი კუთხეს ჩამოარტყა და მოკვდა. მეორეს მოკვლა ამიტომ გადაწყვიტა და თან გააუპატიურა. მამაჩემი ერთ-ერთ დიდ ბიზნესში, არაოფიციალური მეწილეა. მითხრა, გაგიყვან 2-3 წელიწადშიო და მეოთხე წელი დაიწყო, აგერ. მე სუფთა ვარ და ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, რა და როგორ“, — ერთ ამოსუნთქვაში დაასრულა ამირანმა.

„რომელ ბიზნესშია მამაშენი?!“ — ჰკითხა მაყურებელმა და როცა პასუხი მიიღო, პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს. მათ წინ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიზნესმენის შვილი იჯდა. მართალია, ოფიციალურად იმ კაცს დასახელებულ ბიზნესთან არაფერი აკავშირებდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მთავარი მენილე იყო.

ამირანი ზონაზე დარჩა და... ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტის შეწყალებით გავიდა. პრეზიდენტი სააკაშვილი მაშინ მეორე ვადის ბოლო თვეს ითვლიდა...

ვერსიანიუსი

აპრილში, შსს-მ 2981-დან 1277 დანაშაული გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრო აპრილის და იანვარ-აპრილის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. სტატისტიკა ასახავს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: მთავარი პროკურატურა და იუსტიციის, თავდაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ასევე ფინანსთა სამინისტროები. შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აქვეყნებს დანაშაულის სტატისტიკას შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების მონაცემებს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

2015 წლის აპრილში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 2981 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1277 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 42.84%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა -7.22%.

2015 წლის აპრილში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 1958 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1102. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.28%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -8.68%.

2015 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 11787 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 6226. დანაშაულის გახსნის პროცენტია 52.82%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა —12.91%.

2015 წლის იანვარ-აპრილში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 8139 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 5312. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65.27%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -15.88%.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ გურჯაანში მომხდარი ქურდობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ილია ტ. ქურდობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ღამით, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, „ლიბერთი ბანკის“ სერვისცენტრში ფარულად შეაღწია, საიდანაც კომპიუტერული ტექნიკა მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ილია ტ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში დააკავეს. მოპარული სამი პერსონალური კომპიუტერი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუის“

„სასწრაფო“ ისევ იგვიანებს?

რას პასუხობს უკმაყოფილო მოქალაქეებს სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დირექტორი და რაფომ აღჭურვავენ ბრიგადებს პორტატული ვიდეოკამერებით

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

„გამარჯობა, სასწრაფო დახმარების გამოძახება მინდა“ — დღე-ღამის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 2000 ასეთი ზარი ფიქსირდება ცხელ ხაზზე და დახმარების მოლოდინში წუთი წუთს მისდევს. „სასწრაფოს დააგვიანდება“ — ეს სიტყვებიც არაერთხელ მოგვისმენია და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამის შედეგია ის აგრესია ექიმების მიმართ, რომელიც რამდენჯერმე ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდა. ასეა თუ ისე ფაქტია — გაფრთხილება, რომ სასწრაფო იგვიანებს, ადამიანისთვის, რომლისთვისაც ყველა წუთი შეიძლება გადამწყვეტი იყოს, დიდი ვერაფერი შეღავათია და ალბათ არც ის გამოდგება არგუმენტად, რომ სასწრაფო დახმარების მანქანების დეფიციტია. ეს შესაბამისი უწყებების პრობლემაა და როგორც „ვერსიას“ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა, **თემურ ბარკალაიამ** განუცხადა, მოგვარებადიც: **„მოსახლეობის მხრიდან ჩივილი მკვეთრად შემცირებულია, რაზეც მეტყველებს მერიისა და ჯანდაცვის ცხელ ხაზზე შესული ზარები“.** ჩვენ კი „ვერსიაში“ შემოსული ზარებით ვმსჯელობთ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პრობლემა დღის წესრიგში კვლავ დგას, თუმცა შესაძლოა, ნაკლები სიხშირით. თავის დროზე შესაბამისმა უწყებებმა გვითხრეს, რომ სასწრაფო პირველ რიგში იქ მიდიოდა, სადაც ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო მძიმე იყო, ახლა კი თემურ ბარკალაია გვპასუხობს, რომ: **„მოსახლეობამ თვითონ უნდა გააცნობიეროს, როდის გამოიძახოს სასწრაფო გადაუდებელი დახმარება. ჩვენ უკვე ვიწყებთ საგანმანათლებლო კამპანიას ამ მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება, მიზანმიმართულად განახორციელონ ზარი“.**

არავინ დავობს, რომ ცრუ გამოძახებებიც ფიქსირდება, მაგრამ სანამ ოპერატორი ვითარების არსში გაერკვევა და მერე პრიორიტეტები დაისახება, შეიძლება მცირე შეცდომა საბედისწეროც კი აღმოჩნდეს, რაზეც ბარკალაიას არაორაზროვანი პასუხი აქვს: **„ჩვენ ყველა გამოძახებაზე მივდივართ და არ ვეძებთ დამნაშავეებს“.**

ისიც ფაქტია, რომ გამოძახებაზე დაგვიანება ერთადერთი პრობლემური საკითხი არ არის, ყველას გვახსოვს პერიოდი, როცა სასწრაფო დახმარების ბრიგადებს ავადმყოფები მხოლოდ რამდენიმე ე.წ ფავორიტ კლინიკაში გადაყავდათ და იმასაც ამბობდნენ, რომ ერთ-ერთი კლინიკა ბრიგადებს ფულსაც უხდიდა ყველა მიყვანილ პაციენტზე, შედეგად კი სადაზღვევო კომპანიებს მაქსიმალურად სძალავდა თანხას. **„დღეის მდგომარეობით, სასწრაფოს პაციენტი გადაჰყავს ქრონომეტრაჟით უახლოეს კლინიკაში. რაც შეეხება კლინიკის მხრიდან თანხის გადახდას მიყვანილ პაციენტზე, ამის შესახებ თუ მოგვაწვდით ინფორმაციას, ჩვენ და საგამოძიებო სტრუქტურები აუცილებლად მოვახდენთ შესაბამის რეაგირებას“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დირექტორი და აქცენტს ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციაზე აკეთებს — თითქოს სასწრაფო დახმარებას პრეპარატების დეფიციტი აქვს: **„რაც შეეხება სრულ აღჭურვილობას, ამ მხრივ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი არ განიცდის მედიკამენტების დეფიციტს“.**

რაც უნდა იყოს, ეს უდავოდ პროგრესია იმიტომ, რომ გვახსოვს დრო, როცა ექიმები ოჯახში არსებული წამლებით უწევდნენ პირველად დახმარებას პაციენტებს და სხვათა შორის, მანკიერი პრაქტიკა, რომ სასწრაფოს საავადმყოფოში არ გაყვეს, სწორედ იმ პერიოდიდან დამკვიდრდა. გასაგებია, ასეთ დროს გადამწყვეტ როლს ეკონომიკური ფაქტორი ასრულებს, მაგრამ „ყველა ექიმი რომ ჯალათია“, ამაზე თავის დროზე ორი აზრი არც არსებობდა. არადა სწორედ საავადმყოფოში გადაყვანა-არგადაყვანაა ხშირად გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანის სიცოცხლისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, სასწრაფო დახმარების ექიმებს იძულების არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ. მით უმეტეს, რომ **„პაციენტის მხრიდან დაფიქსირებული უარი ჰოსპიტალიზაციაზე ფიქსირდება მისი ან თანმხლები პირის ხელმოწერით და ადგილზე მისული ექიმები კანონით ვალდებულნი არიან, პატივი სცენ მათ გადაწყვეტილებას“.**

რას ვიზამთ, კანონი კანონია და მის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ რატომღაც რიგ შემთხვევებში პაციენტის ოჯახის წვერები ნაკლებად აცნობიერებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და საქმე ფიზიკურ ძალადობამდეც მიდის. **„ძალიან სამწუხაროა, როდესაც დასახმარებლად მისული ექიმები თვითონ ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. ამას ემატება დაუსჯელობის სინდრომი. სწორედ მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მოხდება ბრიგადების აღჭურვა პორტატული ვიდეოკამერებით, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სამართალდამცავებს რეაგირებისთვის. ბოლოს, ვაკეში მომხდარი ინციდენტის გამო, შსს-მ გაატარა ღონისძიებები, გამოვლინდა სამართალდამრღვევი და დაჯარიმდა 2000 ლარით. მსგავს შემთხვევებზე აუცილებლად მოხდება რეაგირება“,** — ასეთია სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო ცენტრის დირექტორის კომენტარი ექიმების მიმართ გამოვლენილ ძალადობაზე და მართლაც საინტერესოა, აგრესია ექიმების მიმართ ნელ-ნელა უფრო მასშტაბური რატომ ხდება. იქნებ მედპერსონალის არაკვალიფიციურობის გამო? რამდენად არსებობს დღეს ქვეყანაში პროფესიონალი კადრის დეფიციტი?

„ჩვენთან დასაქმებული ექიმები არიან მაღალი კვალიფიკაციით და მუდმივად მიმდინარეობს მათი გაკონტროლება. ცენტრს გააჩნია საკუთარი ტრენინგცენტრი, რომელიც პერიოდულად ზრუნავს მათ გადამზადებაზე“, — სხვა პასუხს არც ველოდით, მაგრამ ფაქტია — როცა დღე-ღამეში 2000-მდე გამოძახება ფიქსირდება, ადამიანებისთვის იმედის ნაპერწკალი კი სწორედ სასწრაფო დახმარებაა, ალბათ აღარ იქნება საჭირო შეხსენება, რომ მედიკოსებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ და მყიფე არგუმენტი — მანქანები არ გვყოფნის, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა, რადგან რეალურად სასწრაფოს ჯანმრთელი და საღ-სალამათი ადამიანი არასოდეს იძახებს. თავის მხრივ კი, არც ის იქნება ურიგო, მოქალაქეებიც თუ გაითავისებენ საკუთარ პასუხისმგებლობას იმ ადამიანების წინაშე, ვის ხელშიცაა მათთვის ესოდენ ძვირფასი — სიცოცხლე.

რა იწვევს დეპრესიას და როგორ ვებრძოლოთ მას

მაკა ლომაძე
555-27-95-13

თანამედროვე ადამიანი, სხვადასხვა გავრცელებულ დაავადებასთან. „გაურკვეველი წარმოშობის“ ვირუსებთან ერთად, ფსიქიკური დაავადებებსაც ებრძვის. მათ შორის კი, ყველაზე მეტად გავრცელებულია დეპრესია, რომელსაც „21 საუკუნის ადამიანის სენსაც“ უწოდებენ. ფსიქოლოგი თინათინ ჭაღოშვილი გვიხსნის, რა იწვევს დეპრესიას და როგორ დავამარცხოთ იგი.

— ქალბატონო თინათინ, კვალიფიციურად რომ განვმარტოთ, რა არის დეპრესია, რომელიც დღეს ასე „მოდაშია“?

— დეპრესია დღეს ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური დაავადება, უფრო კი ფსიქიკური მდგომარეობაა. დეპრესიის სიმპტომებია: გუნება-განწყობის დაქვეითება, ასოციაციების შენელება (აზროვნების) და მოტორული (მოძრაობის) სფეროს შეფერხება. დეპრესიის მქონე ადამიანი თავისუფლად იტყვის, რომ გაშეშებულია ემოციურად და ფიზიკურად. დეპრესია შეიძლება იყოს ეგზოგენური (ანუ გარეფაქტორებით გამოწვეული) და ენდოგენური (შიდა ბიოლოგიური ან ფსიქიკური ფაქტორებით გამოწვეული). დეპრესია განკურნებადია ფსიქოთერაპიის ან ფარმაკოთერაპიის საშუალებით. რიგ შემთხვევაში ორივე საჭიროა. ძალიან გახშირებულია სიტყვა დეპრესიის ხმარება, ხშირად ადამიანები გუნება-განწყობის დროებით დაქვეითებასაც უწოდებენ დეპრესიას, რაც არასწორია. აუცილებელია სათანადო დიაგნოსტიკა. დეპრესიას, გართულების შემთხვევაში, უმეტესად სუიციდამდე მიჰყავს ადამიანი, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა იყოს სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ. რთულ შემთხვევაში, როდესაც აქვს სუიციდური აზრები, საჭიროა სტაციონარში მოთავსება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ სტიგმატიზებულია ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანებს ფსიქოთერაპევტსა თუ ფსიქიატრთან თამამად მისვლის შიში აქვთ. დეპრესია დამოკიდებულია მზის ენერგიაზეც, ერთ-ერთმა კვლევამ, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, აჩვენა — დეპრესია ყველაზე მეტად მწვავდება და შემთხვევების რიცხვიც მატულობს იანვარში, როცა მზე ნაკლებად ანათებს, ხოლო მანიაკალური სინდრომი აქტიურდება აგვისტოში. ასევე ცნობილია, რომ ის ბავშვები, რომლებიც ჩაისახნენ ზაფხულში, ან მათი მუცლად ყოფნა დაემთხვა ზაფხულს, ნაკლები რისკის ქვეშ არიან დეპრესიასთან მიმართებაში. დეპრესიული მდგომარეობა სრულიად დაძლეულია მედიცინის მიერ, მაგრამ პრობლემა ჩვენშია — საჭიროა, დროულად მივმართოთ სპეციალისტს.

— სპეციალისტთან ვიზიტის გარდა, როგორ დავიცვათ თავი დეპრესიისგან?

— მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს ცხოვრების ჯანსაღი წესით. აქ კი, პირველ რიგში, ვგულისხმობ ფსიქიკის წონასწორობას. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ენერგიას გავცემთ და რამდენს ვიღებთ. ენერგიის გაცემა და მიღება თანაბარი უნდა იყოს. ამგვარად შეგვიძლია დავიცვათ თავი დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური დაავადებებისგან.

— როგორ უნდა მივხვდეთ, იმდენივე ენერგიას ვიღებთ თუ არა, რამდენსაც გავცემთ?

— ენერგიის გაცემის თვითდიაგნოსტიკა შესაძლებელია საკუთარ სუნთქვაზე დაკვირვებით. ჯანმრთელ მდგომარეობაში ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა უნდა იყოს თანაბარი. რელაქსაციური სუნთქვის შემთხვევაში კი ამოსუნთქვა ჩასუნთქვაზე ხანგრძლივია. თუ აღმოაჩინეთ ჩვეული სუნთქვის დროს დისბალანსი, გაიხსენეთ რა არის თქვენს ცხოვრებაში აქტუალური პრობლემა და მას მიხედეთ. თუ დამოუკიდებლად ვერ შეძელით პრობლემის აღმოჩენა-მოგვარება, მიმართეთ სპეციალისტს (ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი).

დეპრესია, ერთის მხრივ, განიხილება, როგორც კლინიკური შემთხვევა. მეორე მხრივ კი, ეს არის ცხოვრებისეული გამოწვევა. დეპრესიის დაძლევის შემდეგ ადამიანი დიდ გამოცდილებას იძენს. დეპრესიის დროს ადამიანის „მზერა“ მიმართულია შინაგან სამყაროზე: ვეხებით საკუთარ არაცნობიერს და მას თუ არ შევუშინდებით, მივიღებთ და გავაცნობიერებთ, დაიწყება ჩვენში შინაგანი ზრდა, მეტად შევიცნობთ საკუთარ თავს, სხვაგვარად შევხედავთ სამყაროს, ავალთ „მაღალ საფეხურზე“ და აღმოვაჩენთ საკუთარ თავში „განძს“, რასაც ვერ ვხედავდით. ასე რომ, დეპრესიას რამდენადაც დიდი ტანჯვა მოაქვს ადამიანისთვის, მისი დაძლევის შემდეგ მოაქვს პიროვნული ზრდა, შესაძლებლობების რეალიზება (ზეცნობიერის გახსნა). ამდენად, დეპრესია შეიძლება გარკვეულ ჯილდოდაც კი ჩაითვალოს თვითრეალიზებისკენ მიმავალ გზაზე.

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა მინისტრი აშშ-ს ჯორჯიის შტატის დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა აშშ-ს ჯორჯიის შტატის დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. დელეგაციის წევრები არიან ჯორჯიის შტატის გამოძიების ბიუროს და პოლიციის დანაყოფების ხელმძღვანელი პირები და აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს თბილისის ოფისის წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს დელეგაციის წევრები გაეცნობიან სამინისტროს მუშაობის სპეციფიკას, დაათვალიერებენ პოლიციის დანაყოფებს, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს და კინოლოგიურ სამსახურს. შინაგან საქმეთა სამინისტროს აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროსთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ოჯახში ძალადობა, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა, კინოლოგიური დანაყოფის განვითარება და სხვა. აღნიშნული სწავლების დიდი ნაწილი ჯორჯიის შტატის ინსტრუქტორთა ხელშეწყობით ხორციელდება.

„ვერსიანიუსი“

თანამედროვე „წიგნის ჭიების“ ლიტერატურული არჩევანი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

დღეს ბევრი საუბრობს, რომ წიგნი ინტერნეტსივრცემ ჩაანაცვლა. „ვერსია“ დაინტერესდა, შემცირდა თუ არა საქართველოში „წიგნის ჭიების“ რაოდენობა, რას კითხულობენ თანამედროვე მოქალაქეები და როგორ იცვლება მათი გემოვნება სხვადასხვა ასაკში? სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებთან გასაუბრების შემდეგ მივხვდით — საბედნიეროდ, ონლაინსამყარომ წიგნის ჩანაცვლება ვერ მოახერხა და თინეიჯერებიც კი ეცნობიან ქართველ თუ უცხოელ კლასიკოსებსა თუ თანამედროვე მწერლებსაც.

ვინ რას კითხულობს საქართველოში და რატომ ვერ ჩაანაცვლა ინტერნეტმა წიგნი



ფრანგი, 24 წლის ელენი თბილისში სწავლობს და მუშაობს. შესანიშნავად ფლობს ქართულს. გამოგვიტყდა, რომ სწორედ ქართული ენისადმი სიყვარულმა ჩამოიყვანა საქართველოში: **„აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში ვსწავლობ. გაგებული მქონდა, რომ ქართული ენა ურთულესია და თითქმის ვერავინ სწავლობს. ამან ინტერესი გამიღვივა. საქართველო ძალიან მომეწონა. ჯერჯერობით, ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ წავიკითხე. ფრანგებსა და ქართველებს მსგავსი იუმორი გვაქვს. არ ვიცი, ამ წიგნების წაკითხვისას ყველაფერი რამდენად გავიგე, მაგრამ ფაქტია, ბევრი ვიცინე“.**

25 წლის ლიკა ალელიშვილი პროფესიით ჟურნალისტია, ფილოსოფიური ლიტერატურა იტაცებს: **„ქართველ ავტორებს უფრო ბავშვობაში ვკითხულობდი. მიყვარს ნიცშე და კაფკა. სიამოვნებით წავიკითხე ნორვეგიელი ჟურნალისტი ქალის, ოსნე რეიეშტადის „გროზნოს ანგელოზი“. ახლა, პირველად ვკითხულობ შემთხვევით შერჩეულ წიგნს – მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდს“ და ძალიან მომწონს“.**

19 წლის ნათია არჩევანს ცხოვრებისეულ რომანებზე აჩერებს. განსაკუთრებით მოსწონს დოსტოევსკი და სტენდალის „წითელი და შავი“. მისი მეგობარი, იმავე ასაკის მარიამი ამბობს, რომ ბოლოს მარია კალასის ბიოგრაფია წაიკითხა. ბიოგრაფიული ჟანრი დიდად არ იზიდავს, უბრალოდ, კალასი უყვარს, დაინტერესდა და მოეწონა. უყვარს გოეთეს „ფაუსტი“, დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, „იდიოტი“... თანამედროვე მწერლებიც მოსწონს. მაგალითად, პაულო კოელიო. მისი ნაწარმოებებიდან გამოარჩევს „ვერონიკამ გადაწყვიტა სიკვდილი“. მასზე ასევე მოახდინა შთაბეჭდილება ელფრიდე იელინეკის ნაწარმოებმა „პიანისტი ქალი“. **„მიყვარს მარკ ტვენის ჩანახატებიც. კარგი იუმორი აქვს. როცა დრო მქონდა, პერიოდიკასაც ვეცნობოდი. ზოგადად, რთული ნაწარმოებების წაკითხვა უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან მომწონს, ალბერ კამიუს „შავი ჭირი“. კითხვა ბიბლიით და მსოფლიო ხალხთა ზღაპრებით დავიწყე. ერთ-ერთი პირველი სქელტანიანი წიგნები კი იყო „ჯეინ ეარი“ და „კაცი, რომელიც იცინის“. უპირატესობას იაპონელ ავტორებსაც ვანიჭებ. მაგალითად, აკუტაგავას. ასევე მიყვარს იუკიო მისიმა“.**

19 წლის მარიამი გვიმხელს, რომ მისი საყვარელი ჟანრი დეტექტივია: **„განსაკუთრებით მიყვარს აგატა კრისტი და მისი „მივიწყებული მკვლელობა“. ძალიან მომწონს „ტრიუმფალური თაღი“, რომელიც უკვე მეოთხედ წავიკითხე. ბოლო დროს კი, პროფესიიდან გამომდინარე, სოციოლოგიურ ლიტერატურას ვეცნობი“.**

50 წლის ია კლასიკას ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურასაც ეცნობა. მოსწონს მიშელ უელბეკი. 33 წლის ანი გამოგვიტყდა, რომ „სავალდებულო“ ლიტერატურა გარდატეხის ასაკში წაიკითხა. ახლა, დროის სიმცირის და გადაღლილობის გამო, მხოლოდ გართობის მიზნით კითხულობს და შესაბამისად, მსუბუქ ჟანრს ირჩევს. **„ვერ ვიტყვი, რომ „მე წითელი მქვია“ მსუბუქია, მაგრამ ფამუქი მაინტერესებდა და მთელი შვებულება „ჩამშხამდა“. ასევე, წავიკითხე მისი „უმანკოების მუზეუმი“, ბოლოს კი, გავეცანი, ნორა რობერტსის რომანს „უფლება ოცნებაზე“ და ელ ჯეიმსის გახმაურებულ ნაწარმოებს „გრეის 50 ელფერი“.**

24 წლის მარიამი გამოგვიტყდა, რომ ძირითადად, ბესტსელერებს კითხულობს. ბოლოს ერიკ ემანუელ შმიდტი წაიკითხა და მისი „ვარდისფერი ქალბატონი“ ძალიან მოეწონა, ასევე — „პილატეს სახარება“, „ბედის ვარსკვლავის ბრალია“. ქართველებიდან აკა მორჩილაძე და გურამ დოჩანაშვილი უყვარს.

24 წლის სალომე რომანების მოყვარულია. რომანთა რომანად „ანა კარენინას“ აღიარებს. ბოლოს წაიკითხა ერლომ ახვლედიანის „კოღო ქალაქში“ და ამბობს, რომ მისთვის რთული წასაკითხი აღმოჩნდა. ამბობს იმასაც, რომ ქართველებიდან, თითქმის ყველა უყვარს. თანამედროვე ავტორებს კი ნაკლებად იცნობს.

48 წლის ლელა გაფრინდაშვილი ბლოგერია. ბოლოს, ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“ წაიკითხა. მანამდე, იგივე ნაწარმოები რუსულად ჰქონდა წაკითხული. ქართული თარგმანით კი, მოიხიბლა.

25 წლის ეკონომისტი თამარ კაკაბაძე, მიუხედავად იმისა, რომ პოეტური ნატურისაა და ბავშვობიდან პოეზია იზიდავდა, დღეს სპეცლიტერატურითაა გატაცებული. „გამამართლებელი საბუთიც“ აქვს — დიპლომზე მუშაობს. პოეტებიდან ბესიკ ხარანაული და ვაჟა უყვარს. ამბობს, რომ მათ ნაწარმოებებს ხშირად უბრუნდება და არასოდეს სწყინდება.

33 წლის ჟურნალისტი ანა ამბობს, რომ კითხვისას „მოდას ვერ მიყვება“: **„ბოლოს წავიკითხე უმბერტო ეკოს „ვარდის სახელით“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. რაც ეკლესიური გავხდი, უფრო რელიგიურ ლიტერატურაზე გადავერთე. ჩემი საყვარელი მხატვრული ნაწარმოები კი მაინც თომას მანის „ჯადოსნური მთაა“. მისი პირველი ტომი სტუდენტობის დროს, 5 დღეში წავიკითხე. საერთოდ, მანი მიყვარს და გამოვყოფდი მის პატარა პიესას „საბრალონი“. ქართველებიდან, აღვნიშნავდი გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“, რუსებიდან — ტოლსტოის „ანა კარენინას“.**

„მომეწონა გუსტავ ფლობერის „სალამბო“. ბოლოს წავიკითხე ბორხესი, რომელიც ძალიან განსხვავებული მწერალია და უნდა ვაღიარო, ეს განსხვავებულობა არც ისე მომეწონა. ქართველებიდან ჩემთვის შეუდარებელი მწერალი ჯავახიშვილია“, — ამბობს 24 წლის დათო.

64 წლის მამუკა გულიაშვილის საყვარელი ჟანრი ისტორიული მოთხრობაა. ყიდულობს წიგნებს, სადაც თბილისის ქუჩების, გამზირების, მოედნების შესახებაა ინფორმაცია. ამბობს, რომ სამწუხაროდ საქართველოს ბევრ კუთხეში არაა ნამყოფი და ამ დანაკლისის ანაზღაურებასაც სპეციალური ლიტერატურით ახერხებს.

17 წლის აბიტურიენტ მაკას ფანტასტიკა უყვარს. ჰარი პოტერის ყველა ნაწილი გადამღერებული აქვს, მოსწონს „ბინდი“, პოეტებიდან კი გალაკტიონი უყვარს.

მის მეგობარ, ასევე 17 წლის ანის ფსიქოლოგიური ხასიათის წიგნები იზიდავს. უყვარს „ანა კარენინა“, „ოსტატი და მარგარიტა“, „ძმები კარამაზოვები“... ამბობს, რომ ჯეინ ოსტინი, შექსპირი და ვაჟა მისი კერპებია.

29 წლის ნატამ, რომელიც ძალიან ჩქარობდა, გვითხრა, ახლა მარკესის „მარტოობის 100 წელიწადს“ ვკითხულობო. 20 წლის მარიამმა კლასიკოსებიდან გუსტავ ფლობერი, რემარკი და გი დე მოპასანი გამოყო. თანამედროვე მწერლებიდან — პაულო კოელიო, ქართველებიდან კი — გურამ დოჩანაშვილი;

13 წლის ქეთათოს საყვარელი მწერლები ნოდარ დუმბაძე და მარკ ტვენია; 19 წლის ნიკა ჩვენ რესპონდენტებს შორის პირველია, ვისაც „წიგნის ჭიას“ ვერ დავარქმევთ, თავისუფალ დროს მირჩევნია სპორტით დავკავდე. თუ რამეს ვკითხულობ, სპორტს ეხებაო, გვითხრა; 25 წლის თამუნამ ბოლოს ტოლსტოი წაიკითხა, ახლა ცვაიგს კითხულობს, განსაკუთრებით კი, ჯორჯ ორუელი და დოსტოევსკი უყვარს.

„დაქცეულები ვართ, ხალხი სოფლიდან გარბის“

რას ითხოვენ ამაღლების მაცხოვრებლები ხელისუფლებისგან

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

„ამაღლება მოსახლეობისგან იცლება“, — ამბობენ ადგილობრივები, ჩივიან, სოფელში მხოლოდ მოხუცები შემორჩნენ და ისინიც უყურადღებოდ არიან დარჩენილებიო. ამაღლებაში მცხოვრებთა ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. ადგილობრივები წინასაარჩევო დაპირებებსაც იხსენებენ და ამბობენ, რომ ისინი მთავრობამ მოატყუა. **„რისი მაქნისია მთავრობა, თუ ხალხზე არ იზრუნებს?! იმან გაგვაბრიყვა, რომ ივანიშვილს მილიარდები ჰქონდა და გვეგონა დანაპირების შესრულება არ გაუჭირდებოდა. რა „ოცნება“, რის „ოცნება“, დაქცეულები ვართ. ტკივილისგან ვკვდები. ჩემი წამალი 258 ლარი ღირს. უფულობის გამო ვერ ვყიდულობ. ამისთვის მოვიკალი თავი?“** – ამბობს ამაღლების მკვიდრი **ავთანდილ რამიშვილი.**

ავთო გოგელია კი პენსიის დანიშვნაზე ოცნებობს. ამბობს, რომ უფულობის გამო ავადმყოფი შვილი სამკურნალოდ თბილისში ვერ მიჰყავს. უგზოობას, უმუშევრობას და მძიმე სოციალურ მდგომარეობას მიიჩნევს უმთავრეს პრობლემებად ამავე სოფელში მცხოვრები **ნანი გოგელიაც: „წამალი, რომ გჭირდება და ვერ ყიდულობ, ამას ცხოვრება ქვია?! ეპილეფსიანი შვილი მყავს და ვერ ვმკურნალობ. მთელი ცხოვრება დატანჯულები ვართ. ვინ ფიქრობს ხალხზე? სოფელი, ფაქტობრივად, დაცლილია, სახლები მიტოვებულია და სარეველა ბალახია ამოსული. თუ გზა არ გაკეთდა, საქართველოს კიდევ ერთი დაცლილი სოფელი შეემატება“.**

„უყურადღებოდაა ხალხი მიტოვებული. დღეს ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა. ორი ბიჭი მყავს და სად იმუშაონ? პენსიაზე არ ვარ, დახმარებას არ ვიღებთ. მუშაობა გვინდა, მაგრამ სამსახურს ვერ ვშოულობთ. რას დაგვპირდნენ, თუ დანაპირებს არ ასრულებდნენ? დაიხოცა ხალხი თურქეთში ნამუშევარი. მეც გავუშვი შვილი და რომ ჩამოვიდა ვერ ვიცანი, ცოცხალ-მკვდარი იყო. ჩვენ ქვეყანაში უნდა იყოს სამუშაო, კი არ უნდა გადაიხვეწოს ხალხი თურქეთში. კაცი რომ ინატრებს, პენსიაში როდის გავალო, წარმოიდგინე, რა ცხოვრება გვაქვს. იმ პენსიით პურის ფული მაინც მექნება და დენის საფასურს გადავიხდი“, – გვითხრა ავთო გოგელიამ.

როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ხალხი სამუშაოდ თურქეთში მიდის.

„ყველა კარგად ხედავთ, რა დღეშია სოფელი. დაცლილია და ბევრი წასულია ლუკმა-პურის საშოვნელად. ჩემი შვილი, ოჯახი რომ ერჩინა, თურქეთში წავიდა. უმაღლესი აქვს დამთავრებული და ვერსად მუშაობდა. სადაც შესაძლებლობაა, ორი კაპიკი იშოვო, იქ მიდიან და ცარიელდება სოფელი. სამეზობლოში ყოველი მესამე სახლიდან წასულები არიან. დავიღალეთ! ხალხს პურის ფული რომ არ აქვს, იქნებ ჯერ მაგაზე ეფიქრა ხელისუფლებას“, — აცხადებს ადგილობრივი **მარგო ფაცურეიშვილი.**

83 წლის ზულფიე დუმბაძე ნახევრადდანგრეულ სახლში ცხოვრობს. მარტოხელა მოხუცი ამბობს, რომ გაუსაძლის პირობებში უწევს ყოფნა და არანაირ დახმარებას არ იღებს: **„მე თუ არ მეკუთვნის დახმარება, აბა, ვის უნდა მისცენ? მარტო ვცოვრობ. რომ ვკდებოდე, მეზობელიც არ მყავს, საშველად რომ დავუძახო. მოკვდები აწი, ასაკოვანი ვარ, მაგრამ ახალგაზრდები მეცოდება, აქ რა უნდა გააკეთონ, უსაქმოდ არიან“.**

ამაღლების მკვიდრნი ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და მოითხოვენ, სანამ სოფელი ბოლომდე დაცარიელებულა, მთავრობამ რაიმე იღონოს, მათთვის ელემენტარული პირობების შესაქმნელად.

„ეს ფილმი აუცილებლად უნდა გადავიღოთ“

კინორეჟისორ მაია არჩვაძის იდეა და ქაოსი კინოცენტრში

ლანა სიხარულიძე

კინოვარსკვლავის გარეგნობის მქონე კინორეჟისორი მაია არჩვაძე ფილმის გადაღებას აპირებს, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისს ეხება. მაია არჩვაძე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის პედაგოგია. მას გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზოზღნა“ (მიუნხენის კინოფესტივალის დიპლომი 1993წ.); მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნეტავ, აღარ იწვიმოს“ (მიუნხენის კინოფესტივალის დიპლომი 2000წ.). მიღებული აქვს გრანპრი თბილისის კინოფესტივალზე „ღია ცის ქვეშ“ (2001წ.), ასევე — „ოქროს ფირი“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის, სახალხო ფესტივალზე „მზე“ (2005წ); ასევე გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი „ქართული ჰოკეის შესახებ“ (2009წ.). რატომ გადაწყვიტა ახალი ფილმის გადაღება და რატომ ითხოვს მის დაფინანსებას ბიუჯეტიდან? იდეისა და მისი დეტალების შესახებ, თავად ქალბატონი მაია არჩვაძე გვიამბობს.

— ქალბატონო მაია, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხზე მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას აპირებთ, რომელსაც „უკანასკნელი მასკარადი“ ერქმევა. კონკრეტულად, რა ჩანაფიქრი გაქვთ?

— სცენარი უკვე მზად არის. მეტიც, გადამღები ჯგუფი, პრაქტიკულად, დაკომპლექტებულია, დაწერილია სარეჟისორო სცენარი, შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, დამზადებულია გადასაღები ბარათები და თქვენ წარმოიდგინეთ, მსახიობთა მთელი შემადგენლობაცაა შერჩეული. როგორც რენე კლერმა თქვა: „ფილმი მზადაა, საჭიროა მხოლოდ მისი გადაღება“.

— თუ ასეა, რატომ არ იწყებთ გადაღებას?

— როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც საქმე დაფინანსებაშია, მაგრამ გამოგიტყდებით, ჩვენ შემთხვევაში საკმაოდ უჩვეულო ვითარებაა. აქამდე ასე იყო — კინოსცენარის წარდგენა ხდებოდა ე.წ. კინოცენტრის კონკურსზე და გამარჯვების შემთხვევაში ფინანსდებოდა, ისიც ნაწილობრივ. ვითარება შეიცვალა: კინოცენტრი იურიდიულად მხილებულია ბევრ დარღვევაში და მისი არსებობა ამ ფორმით ეჭვქვეშ დგას. ასეც რომ არ ყოფილიყო, ჩემს მიერ ბოლო კონკურსზე წარდგენილმა, ალექსანდრე ჟღენტის ისტორიული ჟანრის სცენარმა „ძლევაი საკვირველი“, ჟიურის მოწონება ვერ დაიმსახურა.

— ბოდიში, მაგრამ ბევრი უჩივის კინოცენტრის საექსპერტო კომისიის წევრთა არაობიექტურობას, როდესაც მათ ნაწარმოებებს დაიწუნებენ.

— რასაკვირველია, მაგრამ მე ისეთ რამეს მოგახსენებთ, რაც ნამდვილად არასოდეს გსმენიათ. ჟიურის ექვსი წევრიდან (სხვათა შორის, მათი მუშაობა ანაზღაურებადია), ნახევარს შეფასების ბლანკისთვის ხელი არ მოუწერია, რაც ჟიურის ვერდიქტის ბათილად ცნობის ტოლფასია და სხვათა შორის, დანაშაულიცაა! ეს ყველაფერი წერილობითაა დადასტურებული. უფრო გამაოგნებელი ისაა, რომ კინოცენტრის დირექტორ ნანა ჯანელიძეს (რომელმაც ჟიური ჩამოაყალიბა) სცენარის ავტორთან ინტერესთა კონფლიქტი აქვს და თანაც, როგორი — 1992 წელს ბატონ ალექსანდრე ჟღენტის სახელმწიფო დაკვეთით, წარმოებაში ჩაშვებული სამსერიანი ისტორიული ფილმისთვის „სახლი სიხარულისა“ გამოყოფილი საწყისი თანხა, 2 500 000 მანეთი ნანა ჯანელიძის ფილმის დასამთავრებლად გადარიცხეს, ხოლო ჟიურის ექვსეულიდან ერთ-ერთი, გოჩა ჟორჟოლიანი, ალექსანდრე ჟღენტის სხვა ფილმების პლაგიატშია ოფიციალურად მხილებული, როგორც პროდიუსერი! ეს ყველაფერი პრესაშია გამოქვეყნებული და სასამართლო პროცესია დაწყებული.

— გასაგებია თქვენი დამოკიდებულება კინოცენტრის კონკურსებისადმი, მაგრამ მომავალ ფილმს დავუბრუნდეთ. მოკლედ გვითხარით, რაზე იქნება სურათი.

— „ყოველსა საქმეს ჟამი მიაჩნს“ — გვასწავლის ბიბლია. ჩვენც ჩავთვალეთ, რომ ფილმის შექმნის დრო დადგა. ბოლო პერიოდში საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობის თემატიკით სპეკულირება ხდება. ეს გასაგებიცაა — ვერც ისტორიას და ვერც სამართალს ვერავინ გაექცევა. განსაკუთრებით აქტიურობენ ის შემოქმედნი, რომლებიც მაშინ ან ანტისახელმწიფოებრივ პოზიციაზე იდგნენ, ან ანტიეროვნული სულისკვეთებით აღიზარდნენ პუტჩის შემდეგ. ამიტომ დღეს მომავალი პოლიტიკური და აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მოვლენების გათვალისწინებით, აუცილებელია, შეიქმნას ნაწარმოები (პირველ რიგში, მხატვრული ფილმი), რომელიც ამხელს იმას, რაც ხშირ შემთხვევაში იჩქმალება ან სულაც ფალსიფიცირებულადაა წარმოდგენილი. ამიტომ, ჩავთვალე საჭიროდ, უაღრესად მნიშვნელოვანი სცენარის ფილმად გადაქცევის პროცესში ჩავერთო.

— უფრო კონკრეტულად, ფილმის შინაარსი როგორია?

— სცენარში მოთხრობილია უაღრესად დრამატული, რეალური ფაქტის შესახებ: 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში გაიმართა ქორწილი. გავლებულია პარალელი 1921 წლის 25 თებერვლის ასევე თბილისურ ქორწილსა და სამოცდაათი წლის შემდეგ შემდგარ ქორწილს შორის. მინდა აღვნიშნო, რომ სცენარის ავტორი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, კინორეფორმის კომისიის თავმჯდომარე, მკვეთრად ეროვნული სულისკვეთების ფილმებისა და სცენარების ავტორი ალექსანდრე ჟღენტია და კარგად იცნობს იმ ვითარებას, რომელიც სუფევდა ახლადაღორძინებულ ქართულ სახელმწიფოში 24 წლის წინ, დეკემბრის ბოლო მესამედში. დავძენ, რომ ამ სცენარის გზა ეკრანისკენ ბევრ საგულისხმო მოვლენას გამოამჟღავნებს. ჩემი აზრით, საქართველოში ნებისმიერმა გონივრულად მოაზროვნე ადმინისტრაციამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ეს ფილმი გადავიღოთ, ქვეყნისთვის საჭირო დროს და სათანადო მხატვრულ დონეზე. ფილმი უშუალოდ სახელმწიფო ხაზინიდან უნდა დაფინანსდეს ისე, როგორც დაფინანსებულა არა ერთი კოპროდუქციის ნიღაბს ამოფარებული, სინამდვილეში კი უცხოური ფილმი, რომელთა თემატიკა აშკარად არაქართულია (ეს რბილად ნათქვამია), ხოლო მხატვრული ღირებულება ჩვენთან ჯეროვნად არავის შეუფასებია და ეჭვი მაქვს, არც არასოდეს შეფასდება. მაგალითად, ირანელ რეჟისორ მოხსენ მახმალბაფს ხაზინიდან 447 000 ლარი, ხოლო ინგლისელი რეჟისორის ბენ ჰოპკინსის ინტერნაციონალურ კინოპროექტს „ეპიკი“ („კარასტანში დაკარგული“) 1 700 000 ლარი გადაურიცხეს.

ქართველი პერსონაჟები ფრანგი მწერლის რომანში და ლიტერატურული ზეიმი თბილისში

პირველ საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს არაერთი უცხოელი მწერალი დაესწრო

მაკა ლომაძე
555-27-95-13

18-22 მაისს თბილისის პირველი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი გაიხსნა. პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და სხვადასხვა სივრცეში (მწერალთა სახლი, უნივერსიტეტები, ევროპის სახლი, ფრანგული კულტურის მედიათეკა, ლიტერატურის მუზეუმი, კავკასიური სახლი) მიმდინარეობდა დისკუსიების, პროზაული ნაწარმოებებიდან ამონარიდების წაკითხვისა თუ პოეზიის საღამოების სახით. ფესტივალი მიზნად ისახავს, გააღრმავოს არსებული კავშირები და ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი მწერლების გაცნობას. ფესტივალში 14 ქვეყანა ჩაერთო. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ღონისძიება ტრადიციად იქცევა.

ოფიციალური გახსნის შემდეგ, სცენა ფრანგ პროზაიკოსს, ფილიპ ბენსონს დაეთმო, რომლის ერთ-ერთი რომანი „იქიდან ზღვა ჩანს“ საგანგებოდ ფესტივალის ფარგლებში ითარგმნა ქართულად. ბესონი იურისტია და პროფესიით მუშაობდა კიდეც, თუმცა, 1999 წელს, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანების ისტორიის წაკითხვამ რომანის დაწერა შთააგონა. „მამაკაცების არყოფნაში“ 2001 წელს დაიბეჭდა და 80 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. საინტერესოა, რომ რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ბესონის საყვარელი მწერალი მარსელ პრუსტია. ნაწარმოები ემანუელ რობლესის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა. იმავე წელს, გამოიცა მისი მეორე რომანი „მისი ძმა“, რომლის ეკრანიზაციას ბერლინის კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვი“ ხვდა წილად. თავბრუდამხვევი წარმატებების მერე, ფილიპ ბესონმა გადაწყვიტა, მუშაობისთვის თავი დაენებებინა და მთელი დრო სამწერლო მოღვაწეობისთვის დაეთმო. 2002 წელს გამოიცა მისი რომანი „გვიანი შემოდგომა“, რომელმაც თავისი თაობის უმნიშვნელოვანეს მწერალთა რიგში დაუმკვიდრა ადგილი. 2003 წელს კი რომანი ჟურნალების „ლირისა“ და „რტლ“-ს გრანპრით დაჯილდოვდა. იმავე წელს დაიბეჭდა კიდევ ერთი რომანი „ბიჭი იტალიიდან“, რომელიც გონკურის და მედიჩის პრემიების შესარჩევი წიგნების სიაში მოხვდა.

ფრანგი მწერალი ამბობს, რომ რეალობას ასახავს. სურს, მკითხველმა აღწერილ სიტუაციაში მსგავსი ატმოსფერო ამოიცნონ. რეგულარულად წერს სატელევიზიო სცენარებსაც.

„ფილიპ ბესონი 16 რომანის ავტორია, წერს კინოსცენარებსაც და არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრემიის მფლობელი. რომანი „იქიდან ზღვა ჩანს“ საკმაოდ სასიამოვნოდ იკითხება. მისი თარგმანი ბესონის ვიზიტს დავამთხვიეთ“, — განუცხადა „ვერსიას“ წიგნის რედაქტორმა, გამომცემლობა „ინტელექტის“ წარმომადგენელმა **გვანცა ჯობავამ.**

მწერალი **ნინო ბექიშვილი** კი მიიჩნევს, რომ მსგავსი ფესტივალის ჩატარება, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია: **„ამგვარი ფესტივალები ლიტერატურული ცხოვრების ნაწილია. სასიამოვნოა, რომ მისი ჩატარების საშუალება მოგვეცა. ჩვენი ინიციატივის განხორციელებაში კულტურის სამინისტრო, სხვადასხვა საელჩო და კულტურული ინსტიტუტები დაგვეხმარა. იმედი მაქვს, ფესტივალი ყოველ წელს ჩატარდება. მკითხველსა და მწერლებს აქვთ საშუალება, შეხვდნენ უცხოელ ავტორებს. ალბათ, ყველაზე მთავარი გზავნილი ისაა, რომ ერთად ამდენი მნიშვნელოვანი მწერალი საქართველოში არასოდეს ყოფილა“.**

გოეთეს ინსტიტუტის პროგრამების განყოფილების უფროსი **ნათია მიქელაძე** გამოგვიტყდა, რომ ზოგადად, უცხოელი მწერლების ჩამოყვანა სირთულეებთანაა დაკავშირებული: **„რთულია მოიწვიო მწერალი. ეს დროში იწელება. ავსტრიელი მწერალი რაულ შროტი, რომელიც ბერლინში ცხოვრობს, შარშან იყო ჩამოსული, ლაშა ბაქრაძესა და ჩვენს დირექტორს შეხვდა. საქართველოთი დაინტერესებულია და ჩვენც წელს მისი ჩამოყვანა გადავწყვიტეთ. ორი ლექცია ჰქონდა ავსტრიელ-გერმანელ ავტორს: უძველესი ტექსტების თარგმანი, მათი წყაროები, კონტექსტები და საკუთარი პროზა-პოეზია“.**

„ძალიან მიყვარს, როცა ახალ ადგილას ჩავდივარ. სიხარულით დავთანხმდი თქვენთან სტუმრობას და ბედნიერი ვარ. რამდენიმე ქართველ ავტორზე მსმენია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ვიცნობ. მინდა, შევხვდე ადამიანებს, რომლებსაც უყვართ კითხვა, ლიტერატურა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება აქვთ. ისინიც გაეცნობიან ფრანგ ავტორებს“, — ექსკლუზიურად განგვიცხადა ფრანგმა სტუმარმა.

ბრიტანეთის საბჭოს მოწვევით ორი ბრიტანელი ავტორიც ჩამოვიდა: ანთეა ნიკოლსონი და სარა ბოუერი. ორი საათის განმავლობაში, მათ ნაწყვეტები წაიკითხეს, კითხვებს უპასუხეს. ანთეა ნიკოლსონმა წერა მაშინ დაიწყო, როცა უკვე წარმატებული მხატვარი იყო. 2005 წელს მიიღო შემოქმედებითი წერის მაგისტრის ხარისხი მიიღო და მომდევნო ერთი წელი რეზიდენტი მწერალი იყო დარტმურში. 2013 წელს გამოცემული „მცურავი ღრუბლების ალამი“, ანთეა ნიკოლსონის სადებიუტო რომანია. მან ბრიტანული პრესის ავტორიტეტული წარმომადგენლებისგან ოთხვარსკვლავიანი შეფასებები დაიმსახურა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ რომანის გმირები ქართველები არიან და მასში ქართველებისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის მხატვრული ინტერპრეტაციაცაა მოთხრობილი — იმ დღეს, როცა იოსებ სტალინი გარდაიცვალა, თბილისში, ერთ-ერთ სამშობიაროში ბავშვი დაიბადა. მშობლები უფროსი შვილის სიკვდილს გლოვობენ; ამიტომ ვერც კი შეამჩნიეს, რომ მათ ახალშობილს მედდებმა იოსები დაარქვეს. მათი გვარი ჯუღაშვილია, რაც ნიშნავს, რომ ბიჭუნას იგივე გვარ-სახელი აქვს, რაც „ყველაზე ცნობილ და ყველაზე საშინელ ქართველს“. როცა იოსები „ფოლადის კაცთან“ უცნაურ კავშირზე შეიტყობს, რწმუნდება, რომ სტალინმა ახალი თავშესაფარი მის სხეულში იპოვა. ეს არის ტვირთი, რომელიც მას ერთდროულად სიამოვნებს და ზარავს.

სარა ბოუერს არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. 2007 წელს რომანისთვის „სისხლიანი ნემსი“ მიიღო სიუზენ ჰილის პრემია, მეორე რომანი „სიყვარულის წიგნი“ ცხრა ენაზე ითარგმნა.

ფესტივალი პირველია, მაგრამ ზოგადად ტრადიცია — ძველი. ჯერ კიდევ რომანტიკოსების დროს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ სალონში არაერთი უცხოელი მწერალი თუ პოეტი ჩამოდიოდა საქართველოში. სხვებთან ერთად, ჩვენს ქვეყანას სტუმრობდა ჯონ სტეინბეკი და კნუტ ჰამსუნი. პასტერნაკს კი ვიზიტის შემდეგ უთქვამს: „ეს არის ზეიმი, რომელიც მუდამ შენთანაა“. იმედია, წელს ასეთივე განწყობით დატოვეს თბილისი სტუმრებმა.

1. საქონლის გატანა საზღვარგარეთ გასაყიდად
2. აჭარის ერთ-ერთი რაიონი
3. წვრილად დაჭრ. და დამწნილ. ზოსტნეული
4. რუსი ფერმწერი
5. ავტ. ძრავის ასამოქმედებელი მოწყობილობა
6. ცხოველი პატარა ხორთუმით
7. ქართველი კინორეჟისორი
8. ნაღვლიანი ლექსი
9. იგივეა, რაც წლოვანება
10. აზნაურის წოდება ესპანეთში
11. თბილ. „დინამოს“ ყოფ. ფეხბურთელი
12. ზღვის ვეფხვად წოდებული თევზი
13. ძაღლის ჯიში
14. წურბელ. გამყიდველი „ოქროს გასაღებში“
15. წვრილი მძივები საქარგავად
16. ინგლისური სქელი ლუდი
17. შუადღის პურის ჭამა
18. ბიბლიური იაკობის ცოლი
19. სპარსული სალექსო ფორმა
20. ისტორიული ქალაქი ირანში
21. სამკურნალო მცენარე
22. კანადის ოლიმპიური ქალაქი
23. უხუცესთა საბჭო ძვ. საბერძნეთში
24. მდინარე ქუთაისში
25. მუსლიმან მამაკაცთა თავსაბურავი
26. ზღვის ნაპირის ნგრევა ტალღებით
27. ტიმოშენკოს სახელი
28. გალაკტიონის „გემი ...“
29. ნახევარკუნძული შავ ზღვაში
30. სისხლის ავთვისებიანი დაავადება
31. სიმაღლით მეორე მწვერვალი
32. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
33. მარიტას სატრფო
34. თვალის ფერადი გარსი
35. ე. წ. „სამოთხის ჩიტი“
36. მამალი კვიცი
37. თვალის გუგა
38. ეკონომიკური სანქციის სახეობა
39. მთის დაქანებული ქვიანი გვერდი
40. ბალზაკის „მამა ...“
41. ანტიკური კოლხეთი
42. აშშ-ის მეგაპოლისი ნიუ-...
43. ხელის საგრილობელი
44. ინგლისური ოქროს ფული
45. მდინარე ავსტრიაში
46. მსახიობი რობერტ დე ...
47. მსახიობი აიშვარია ...
48. ნული ქულა კაზინოში
49. კუკარაჩას ცოლის სახელი
50. ტელეფონის ერთ-ერთი გამომგონებელი
51. ბერძნული ანბანის ასო
52. ბემოლის ანტონიმი
53. ამაზონის დელფინი
54. მდინარე ციმბირში
55. ბიბლიური პატრიარქი
56. შოკოლადის ხე
57. უნგრელი კომპოზიტორი
58. ნაპოლეონის მარშალი
59. იგივეა, რაც ვერცხლისწყალი
60. იაპონური თეატრის სახეობა
61. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
62. მორიკონეს სახელი
63. ლევ ტოლსტოის მამული „... პოლიანა“
64. მეფე „აბესალომ და ეთერში“

სიმაღლე ინფარქტისგან გიცავს?



მედიკოსები აცხადებენ, რომ ყველაზე იშვიათად ინფარქტი მაღალ ადამიანებს ემართებათ, რადგან მათი არტერიები ნაკლებადაა დახშული, ვიდრე დაბალი ადამინებისა. ასეთი დასკვნები ამერიკელმა კარდიოლოგებმა რამდენიმე კვლევის შედეგებით გაამყარეს, რომელშიც სამი ათასზე მეტი პაციენტი მონაწილეობდა. სპეციალისტებმა მოინდომეს გაერკვიათ, მართლაც აქვს თუ არა კავშირი ადამიანის სიმაღლეს იმ ფაქტორთან, როგორ არის თრომბებით „დანაგვიანებული“ არტერია. როგორც ცნობილია, ინფარქტის რისკი პირდაპირ უკავშირდება ამ თრომბების რაოდენობას. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტია ადამიანის სიმაღლე, მით სასარგებლოა ეს მისი გულსისხლძარღვთა სისტემისთვის. ასეთ პაციენტებს 30%-ით ნაკლები ათეროსკლეროტული თრომბები აქვთ არტერიებში, ვიდრე გაცილებით დაბალ ადამიანებს. ეს ვარაუდი კომპიუტერული ტომოგრაფიითაც დადასტურდა. ამ დამოკიდებულების გათვლისას ზოგიერთი შესწორებაც უნდა იქნას შეტანილი პაციენტის სქესის გათვალისწინებით — ტრადიციულად, ქალის სიმაღლე, კაცთან შედარებით, ნაკლებია. უფრო ადრე სპეციალისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ დაბალ ადამიანებს მოკლე კორონარული არტერიები აქვთ და ამის გამო ისინი უფრო მეტად ექცევიან პათოლოგიური და ასაკობრივი ცვლილებების ქვეშ.

ყველაზე საშინელი ატრაქციონი

ჩინეთის ქალაქ შენჩჟენში თემატიკური გასართობი პარკი Window of the World გაიხსნა, სადაც დროის საინტერესოდ გატარება როგორც პატარებს, ასევე დიდებსაც შეუძლიათ. გასართობი კი ნებისმიერი გემოვნების სტუმარს დააკმაყოფილებს — ყველაზე წარმოუდგენელი ატრაქციონებით დაწყებული, მსოფლიოს ცნობილი მუზეუმებისა თუ შენობების ასლებით დამთავრებული. აქ ნახავთ, მაგალითად, ეიფელის კოშკსაც და ტრიუმფალურ თაღსაც, ატრაქციონებდან კი ყველაზე გამორჩეული მაინც „კრემატორიუმია“. ატრაქციონს „სამადხი: 4 სასიკვდილო გამოცდა“ ჰქვია. მისი ამოცანაა, ყველა მსურველს მაქსიმალურად ახლოს გააცნოს პროცესი და ღრმა წარმოდგენა შეუქმნას ადამიანის სხეულის კრემაციაზე. რთული არ არის მიხვედრა, რომ აქ მსურველს მაყურებლის როლში ყოფნას კი არა, პროცესში მონაწილეობას სთავაზობენ. ფსიქოლოგიური ეფექტის მიხედვით, „სამადხის“ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოში ყველაზე საშინელი ატრაქციონი. ვინც აქ „გართობას“ გაბედავს, მოგზაურობას იმპროვიზებული მორგიდან იწყებს, რომელიც ნამდვილისგან თითქმის არაფრით განსხვავდება და მხოლოდ სხეულის გაკვეთაა აქ ბუტაფორული. სუნი, განათება, ხმა კი რეალურია. აქ მონაწილის „სხეულს“ კუბოში, შემდეგ კი მოძრავ ლენტზე ათავსებენ, რომელსაც სასახლე ღუმელში მიაქვს. როცა ადამიანი საკრემაციო ღუმელში აღმოჩნდება, უცებ კაშკაშა შუქი ირთვება, იმატებს ტემპერატურაც. ეს ყველაფერი, მოულოდნელობასთან ერთად, კრემაციის პროცესის მაქსიმალურად რეალურ სურათს ქმნის. ბოლოს კუბო „ნარჩენებით“ ურნასთან მიდის, სადაც მოხალისე ატრაქციონიდან ჩამოდის. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, გასართობს გულის შეტევამდე არავინ მიუყვანია და არც დაუნახშირებია, თუმცა, გაბედული მონაწილეები „სამადხიდან“ გაოგნებულები გამოდიან.

ყველაზე ძვირი ბრენდები დასახელდა

ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ მსოფლიოს 100 ყველაზე ძვირი ბრენდის სია გამოაქვეყნა, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში შემოსავლისა და სხვადასხვა სფეროში ბრენდის გავლენის კოეფიციენტის გათვალისწინებით შედგა. სულ სიაში 15 ქვეყნისა და 20 სფეროს წარმომადგენელი ბრენდი შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ რეიტინგის ნახევარს, პრაქტიკულად, ამერიკული კომპანიები იკავებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერი კომპანია Apple-ია — მისი ბრენდი 145,3 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. გასული წლის ბოლო კვარტალში მათ 74,8 მილიონი სმარტფონი გაყიდეს მსოფლიოში და მოგებამ 18 მილიარდი დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზე Microsoft-ია, ბრენდის 69,3 მილიარდიანი ღირებულებით, მესამეზე Google გავიდა 65,6 მილიარდით. დანარჩენი ადგილები ტოპ-ატეულში ასე გადანაწილდა: Coca-Cola, 56 მილიარდი დოლარით, IBM (49,8 მილიარდი), McDonald`s (39,5 მილიარდი), Samsung (37,9 მილიარდი), Toyota (37,8 მილიარდი), General Electric (37,5 მილიარდი) და Facebook, რომლის ბრენდიც 36,5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ყველაზე ძვირადღირებული ბრენდების ოცეულშია ასევე Disney, AT&T, Amazon, Louis Vuitton, Cisco, BMW, Oracle, Nike, Intel, Wal-Mart.

სუდოკუმანია

ადვილი

		1				6		4
			6		3			
	6	4					9	
				9		5	4	
2			5		7			1
	9	8		2				
	5					1	3	
			9		1			
6		7				4		

სტანდარტი

					7	1	8	
3				8			4	7
				2		3		
4	6	5	7					8
2								4
7					2	6	5	3
		9		7				
8	3			5				1
	7	4	8					

რთული

	2		9			7	6	
					5			1
1				3				8
7	8					1		
	6			4			9	
		4					8	7
6				8				2
5			1					
	3	8			9		1	

ექსპერტი

3			7					6
	8				4			
6		2			8	4		
	5			1			3	
	3		4		2		5	
	7			9			4	
		1	2			5		8
			1				2	
4					9			3

ლუდი ტვინს აჩლუნგებს

დღეს საკამათო მოსაზრებები არსებობს ლუდის სასარგებლო თუ მავნე თვისებების თაობაზე. ამ ქარვისფერი სასმელის მომხრეები მის დადებით მხარეებს აღნიშნავენ, მოწინააღმდეგეებმა კი მტკიცებულება იპოვეს, რომ ლუდი საკმაოდ მავნე სასმელი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, კვირაში ლიტრანახევარი ეს ქაფიანი სიამოვნება საკმარისია, რომ ადამიანის ტვინის აქტივობა 20%-ით დაქვეითდეს. ესპანელი სწავლულები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან, სამწლიანი კვლევების შედეგად აცხადებენ, რომ ლუდის სწორედ ასეთი რაოდენობა აჩლუნგებს ტვინს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ლუდის რეგულარული მომხმარებლები იძულებულნი არიან, ტვინის ჩვეულებრივზე 20%-ით მეტი სიმძლავრე გამოიყენონ, მარტივი ამოცანები რომ ამოხსნან. ექსპერიმენტებში მონაწილე მოხალისეების ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც სვამდა 1,5 ლიტრ გამაგრილებელ სასმელს, ნაწილი კი საერთოდ არ სვამდა. მოგვიანებით, როცა მონაწილეები ფხიზლდებოდნენ, მათ ტესტებს უტარებდნენ სხვადასხვა ციმციმა სიმბოლოებზე. აღმოჩნდა, რომ ლუდის მსმელთა ჯგუფი, შედეგების მისაღებად, გაცილებით მეტ ძალისხმევას ხარჯავდა, ვიდრე არამსმელები.

კარტოფილი კუჭის წყლულს კურნავს

ბრიტანელმა სწავლულებმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელიც კი არ აქვს. გაირკვა, რომ ეს ნივთიერება ანადგურებს ბაქტერიებს, რომლებიც კუჭში ანთებითი პროცესების პროვოცირებენ. მეცნიერებმა კვლევების შედეგად ისიც დაადგინეს, რომ ნივთიერება ამას გაცილებით ეფექტურად აკეთებს, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები, რადგან, მათგან განსხვავებით, ბაქტერიებს რეზისტენტულობა არ ახასიათებს. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია Helicobacter pylori, რომლის სამკურნალოდაც ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოყენება ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს. ეს კი, თავის მხრივ, იმუნური სისტემის დასუსტებას იწვევს, თანაც, ამ დროს ყოველთვის არსებობს გვერდითი მოვლენების რისკიც. როგორც ჩანს, ბრიტანელი მეცნიერების აღმოჩენა დამაიმედებელია. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია და ალბათ, მალე გაყიდვაში იქნება „კარტოფილის წვენი", როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს თავის დაცვას ბაქტერიული წყლულისა და გულძმარვისგან.

ბიბლიოთერაპია — მკურნალობის ახალი მეთოდი

ბრიტანელმა სწავლულებმა, გამოკვლევის შედეგად, დაასკვნეს, რომ ავადმყოფობის დროს კითხვა ერთ-ერთი საუკეთესო პროცედურაა და მსოფლიოს ზოგიერთ კლინიკაში მკურნალობის ახალი მეთოდი — ბიბლიოთერაპია დანერგეს. მკვლევარები ლივერპულის უნივერსიტეტიდან დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ იმ ადამიანებს, ვისთვისაც კითხვა ნამდვილი სიამოვნებაა. ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ ადამიანის ტვინი განსაკუთრებით აქტიურდება შექსპირის კითხვის დროს. პოეზია კი ხელს უწყობს ტვინის იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც ემოციებსა და თვითკონტროლზეა პასუხისმგებელი. ბიბლიოთერაპია სწავლულებმა იმ ადამიანებისთვის დანერგეს, ვინც გამუდმებით სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება და სხვადასხვა ფობია აწუხებს. ასეთი მკურნალობის დროს, პაციენტს უფლება აქვს, საკითხავი თავად აირჩიოს, მთავარია ახსოვდეს, რომ ნაწარმოები უნდა იყოს გასართობი და კითხვა არა მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებდეს, არამედ ფიქრისა და ანალიზის საშუალებასაც აძლევდეს.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კლასიკური ლიტერატურა ადამიანს უფრო დააფიქრებს — სხვისი შეცდომების კითხვისას, საკუთარზეც ფიქრობს. ასეთი ლიტერატურის კითხვა ძალიან კარგია სტრესული მდგომარეობისა და ნევროზის დროს. დეტექტიური და სათავგადასავლო ლიტერატურა მკითხველის გონებრივ შესაძლებლობებს ავითარებს. წაკითხული ისტორიები საკუთარ პრობლემებს ავიწყებს. მეცნიერული ფანტასტიკა და ფენტეზის ჟანრი ავითარებს გონებრივ შესაძლებლობებს, ადამიანს აძლევს საშუალებას, გააანალიზოს საკუთარი ქმედებები, გამოთქვას მოსაზრება და სხვებსაც გაუზიაროს. ამ ჟანრის ლიტერატურა სასარგებლოა ნებისმიერი ფობიით დაავადებულთათვის. პოეზია ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, ადამიანს პოზიტიურ განწყობაზე აყენებს და საკუთარი თავის რწმენას მატებს. ლექსების კითხვა რეკომენდებულია დეპრესიის დროს, ასევე ინსულტის შემდეგ, მეტყველების მოსაწესრიგებლად. ზღაპრები და ფოლკლორი ურთიერთობის წესებს ასწავლის, ადამიანს მეტ დაკვირვებულობას სძენს. ასეთი ლიტერატურა ძალიან სასარგებლოა ჰიპერაქტიური ბავშვებისა და რთული მოზარდებისთვის. იუმორისტული ჟანრი მკითხველს დაძაბულობას უხსნის და ასწავლის კონფლიქტის გარეშე ურთიერთობას. მას საკითხავად გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებს ურჩევენ. ფილოსოფიური და რელიგიური ლიტერატურა კი ადამიანს სრულ წარმოდგენას უქმნის მსოფლიოზე. ასეთი ლიტერატურა კარგია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სტრესი და ქრონიკული დეპრესია სტანჯავს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	4	2	5	3	9	6	1	7
3	7	1	6	8	4	5	2	9
9	6	5	2	1	7	8	3	4
2	3	4	1	6	8	9	7	5
7	1	9	4	5	3	2	8	6
6	5	8	9	7	2	3	4	1
4	2	7	8	9	6	1	5	3
1	9	3	7	2	5	4	6	8
5	8	6	3	4	1	7	9	2

სტანდარტი

7	1	2	9	6	3	4	8	5
4	9	8	5	2	7	3	1	6
6	5	3	8	4	1	7	2	9
9	8	6	2	3	5	1	4	7
5	7	4	1	9	8	6	3	2
2	3	1	6	7	4	9	5	8
8	4	9	7	1	2	5	6	3
3	6	5	4	8	9	2	7	1
1	2	7	3	5	6	8	9	4

რთული

6	8	2	5	7	4	3	9	1
5	4	1	9	6	3	2	8	7
9	7	3	1	2	8	4	5	6
4	1	9	8	5	7	6	3	2
3	2	6	4	1	9	8	7	5
8	5	7	6	3	2	1	4	9
2	3	5	7	4	6	9	1	8
7	6	8	3	9	1	5	2	4
1	9	4	2	8	5	7	6	3

ექსპერტი

1	9	8	3	4	7	6	2	5
7	5	6	2	1	9	8	4	3
4	3	2	8	6	5	7	1	9
6	4	5	1	8	3	9	7	2
3	2	1	7	9	6	5	8	4
8	7	9	5	2	4	3	6	1
5	6	7	4	3	1	2	9	8
2	1	3	9	7	8	4	5	6
9	8	4	6	5	2	1	3	7

მე-10 გვერდი: 1. სახტუნაო; 2. ანორაკი; 3. ტოტი; 4. ნიავი; 5. დინასტია; 6. იუველირი; 7. არშინი; 8. ტიარა; 9. „პონტიაკი"; 10. ბუფონი; 11. „ვისრამიანი"; 12. ზრო; 13. ჭვიშტარი; 14. „ამარკორდი"; 15. ვარამი; 16. რობოტი; 17. ბაო; 18. ლანგარი; 19. კუბი; 20. ვიზა; 21. აყირო; 22. რანდა; 23. აჟარა; 24. მიმი; 25. ირიდა; 26. ფია; 27. სინჯარა; 28. იაბო; 29. აჩმა; 30. სპორა; 31. არგო; 32. სოფი მარსო; 33. ნიამორი; 34. აცტეკა; 35. ფხა; 36. ანიმე; 37. ჟირარდო; 38. თეტა; 39. მანდარინი; 40. მოა; 41. ადამი; 42. შალე; 43. მირკანი; 44. მინდი; 45. ონაგრი; 46. დიდედა; 47. ციდა; 48. კაი; 49. ნაირა; 50. ნიორი; 51. ელ; 52. ნო; 53. ემინემი; 54. სამოა; 55. ანფილადა; 56. ჩაი; 57. კეა; 58. ელდა; 59. გეა; 60. ბისკაი; 61. კიჩო; 62. ელო; 63. კუბა.

მე-12 გვერდი: 1. იგნორირება; 2. ბოკალი; 3. იონჯა; 4. ნანსუკი; 5. რეიტუზი; 6. ბიჟუტერია; 7. კაკოფონია; 8. ლენა; 9. მახარაძე; 10. პუნქტირი; 11. იუნონა; 12. ჟაკანი; 13. ილინოისი; 14. ეპიგრამა; 15. პალო; 16. მაპუტუ; 17. კუ; 18. ტიფი; 19. ყრუ; 20. გენი; 21. ხონი; 22. ომანი; 23. ტიციანი; 24. რუნი; 25. ზმა; 26. ამაო; 27. ალი; 28. რეტორტა; 29. ზოი სალდანა; 30. აზიმოვი; 31. მეფე; 32. იკაროსი; 33. ცა; 34. ოსმიუმი; 35. სიფილისი; 36. ძერა; 37. სუომი; 38. ბეკინა; 39. ასანთი; 40. ინდიგო; 41. „ილიადა"; 42. გამა; 43. დეიმოსი; 44. ინალიფა; 45. იმელმანი; 46. ნაკადული; 47. იდიომი; 48. ადანი; 49. ლირიკა; 50. ესე; 51. ერგასი; 52. ლევილი; 53. ამონალი; 54. „აიდა"; 55. იდენი; 56. ლაზიერი; 57. ალიბი; 58. თრია; 59. იავა; 60. რამი; 61. გუაში; 62. ადესა; 63. ოლქი; 64. დოგი; 65. ონეგინი; 66. ლილუ; 67. არსი; 68. ასი; 69. საბუე; 70. ერი; 71. აია; 72. დამა; 73. ეჩო; 74. დუჩე; 75. ნარმა; 76. სოია; 77. ლოსი; 78. სე; 79. ნო; 80. კანბერა; 81. მნე; 82. ესენტუკი; 83. ნიშა; 84. მზე.

1. სისხლის თხევადი ნაწილი
2.დაკლული საქონლის შიგნეულობა
3.რისამე განვითარების უმაღლესი მწვერვალი
4. აგამემნონის ვაჟი
5. მდინარე გერმანიაში
6.სტალინის პოეტური ფსევდონიმი
7.კრივში გვერდული დარტყმა შორის მანძილიდან
8.მდინარის ძაბრისებური შესართავი
9. მოტორიანი ნავი
10. გამორჩენილი ფრანგი ავტომრბოლელი
11.ერთ-ერთი ხელოვნური საერთაშორისო ენა
12. მუსიკ. ნაწარმოები ერთი საკრავისათვის
13. სურათების ჩასაკრავი წიგნი
14. მხარე იმერეთში
15. ფრანგული ოქროს ფული
16. ტბა თბილისის შემოგარენში
17. ძველი სპარსული ენა
18. ჰიუგოს „საბრალონის“ პერსონაჟი ჟან ...
19. „ულვაშებიანი“ თევზი
20.სათამაშო ოქროს მთავარი გვერდი
21. „ტრაგედიის მამა“
22.ძალიან ბრაზიანი
23.გადამწყვეტი შეტევა
24. პოლონური ხალხური ცეკვა
25. ენაჩლუნგი
26.საქართ. საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი
27.ღვთის ლოცვა-კურთხევა, წყალობა
28. მწვრიჭამია მცენარე
29.თურქეთის საკურორტო ქალაქი
30. ანტილოპას სახეობა
31. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა
32. ვარსკვლავთა კრებული
33.შეძ. კონცერტზე ნომრის გამორეკვის მოთხოვნით
34. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
35.მიმართვა ბენიტო მუსოლინისადმი
36. კურკოვანი ხილი
37. შხამიანი გომბეშო
38. ლამპის საფარველი
39. რომის პაპის წარმომადგენელი
40. მჭევრმეტყველი ადამიანი
41.მუშნის გვარი „დათა თუთაშხიაში“
42. დღეის წინა დღეს ანუ ...
43.ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული
44. კომპიუტერ. ინფორმაციის შენახვის ერთეული
45. შვლის ნუკრი ამერიკულ მულტფილმში
46. მშვილდით სასროლი ჯოხი
47. სახის მიმიკის მოშლა
48. თვალის ბადურა
49.ივანე მრისხანის მთავრობის საშინაო პოლიტიკა
50.სამოქ. ავიაც. საერთ. ორგან
51.ინდიელი ხალხი
52. მზის საგალობელი რაჭაში
53. წყლის სპორტის სახეობა, „ზერთებზე სრიალი“
54.ძლიერი გამანადგურებელი ქარი
55. სამხრეთ კორეის დედაქალაქი
56. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
57. ძმები ხერხეულიძეების რაოდენობა
58. დროის მონაკვეთი ფეხბურთში
59. დიდი ცხოველი კიდური
60. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა
61. ბულგარელთა არაყი
62. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი
63. მთავარი მსაჯი
64. ავტორი რომანისა „აივენჰო“
65. ბინძური თავლების პატრონი
66. მალის დედაქალაქი
67. თვის შუა რიცხვები ძვ. რომში
68. იაპონიის კუნძული
69. თმის მცენარეული საღებავი
70.ყველაზე გრძელი მდინარე ჩილეში
71. ზღვის სარეწაო თევზი
72. „გირჩებიანი“ ბალახოვანი მცენარე
73. რუსული თვითმფრინავის მარკა
74. იტალიელი მეკარე ... ძოფი
75.„აწიე!“-პორტის მუშების სლენგზე
76. დოკუმენტების ნაკრები, რომელიც დაკავშირებულია რაიმე საქმესთან
77. აფრიკასა და აზიაში გავრცელებული შხამიანი გველი
78. იაფის საპირისპირო სიტყვა
79. თურქული მარგარინის მარკა
80. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
81. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში
82. ქალაქი ირანში
83.„დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ... შუმაკი
84.სარწყავად გაყვანილი პატარა არხი

ევროპა არომატიზებულ სიგარეტს კრძალავს

ევროკავშირი კიდევ ერთხელ ამკაცრებს თამბაქოს საწინააღმდეგო კანონმდებლობას. ამჯერად, აკრძალვაში არომატიზებული სიგარეტები მოექცა. მიღებული მოთხოვნების მიხედვით, 2016 წლიდან ევროპაში აიკრძალება ვანილისა და ხილის სურნელიანი სიგარეტის წარმოება და გაყიდვა, მენთოლიანს კი გაყიდვიდან 2020 წლისთვის ამოიღებენ. ახალი წესების მიხედვით, მედიკოსების გაფრთხილება და ინფორმაცია მოწევის მავნებლობაზე სიგარეტის კოლოფის ორ-მესამედს უნდა იკავებდეს. რაც შეეხება ელექტრონულ სიგარეტს, აქ სიტუაცია ჯერ გაურკვეველია. ევროპის პარლამენტმა დაადგინა, რომ ელ-სიგარეტების გაყიდვა უნდა განხორციელდეს თამბაქოს პროდუქციის რეალიზების საერთო წესების საფუძველზე.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.